სოციალ-დემოკრატიული მუშათა პარტია

პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

შაბათი, 19 ოქტომბერი 1918 წ.

# ერთობა

ფასი 50 კაპ.

გაზეთის ფასი: 1 თვით 12 მანეთი ცალკე ნომერი ყველგან 50 კაპ. განცხადების ფასი, როგორც პირველ გვერდზე, ისე მეოთხეზე, პეტიტის სტრიქონი—1 მან. სამგლოვიარო განცხადება 20 მან. საჩქარო განცხადება უნდა მოტანილ იქნას არა უგვიანეს დილის 12 ს. ხელმოუწერელი წერილები არ იბეჭდება. დაუბეჭდავ საგაზეთო მასალას რედაქცია არ ინახავს, ავტორებს უკან ვერ დაუბრუნებს და ამის შესახებ არც მიწერ-მოწერას კისრულობს.

ხელის მომწერლებმა ფული შემდეგი ადრესით უნდა გამოგზავნონ: Тифлисъ, почт. ящ. 199. Редакція „Эртоба". სხვა ადრესით გამოგზავნილ ფულს რედაქცია ვერ მიიღებს.

რედაქციაში პირადათ მოლაპარაკება შეიძლება 10—12 საათამდე. რედაქციისა და კანტორის ადრესი: თფილისი, გოლოვინის პროსპექტი № 12. Тифлисъ, Головинскій проспектъ № 12).

ტელეფონი 16—62.

№ 224 ორგანო ამიერ-კავკასიის სოციალ-დემოკრატიულ მუშათა ორგანიზაციებისა № 224

ვასილ და კონსტანტინე იოსების ძენი, ანტიოფ სვიმონის ასული და თამარ ვასილის ასული ჯაფარიძენი თავიანთი შვილებით აუწყებენ ნათესავთა და ნაცნობთ, რომ ხანგრძლივი და მძიმე ავადმყოფობის შემდეგ სოფ. სავანეთში გარდაიცვალა ძვირფასი და დაუვიწყარი პირველთა დედა, მეორეთა დედამთილი და მესამეთა ბებია

ნინო სეფეს ასული ჯაფარიძისა

დაკრძალვა სოფ. სავანეთში, კვირას, 20 ოქტომბერს. (2—1)

გულ-დამწვარი მეუღლე ნინა შვილებითურთ, ცოლის ძმა ვალოდია და და ოლია მიქელაძენი, ძმის შვილი იასონი კორძახია აუწყებენ ნათესავებს და ნაცნობებს, რომ 20 ოქტ. წმინდა ნინოს ეკლესიაში, სასაფლაოზე დღის 12 საათ. გადახდილი იქნება პანაშვიდი უდროოდ დაკარგული

ლევანი სიკოს ძე კორძახიას

სულის მოსახსენებლად. მეტად სამწუხარო პირობებში გარდაცვალების გამო დაკრძალვის დრო ვერ ვაცნობეთ ბევრ მის ძმა-ხანაგებს. (1—1)

ღრმად დამწუხრებულნი დედა მარიამი, მეუღლე პელაგია თავისი პატარა შვილებით ლეო და თამრიკოთი, ძმა გიორგი, რძალი ნინო, და დარიკო ქურთაშვილები, დაი ნატალია, სიძე მღ. ალექსანდრე მთვარელიშვილები, სიდედრი დარო მონადიროვი, დისწულები ანნა ჩუბინიძე, მარიამ ჩორბაძე, ევგენია აბულაძე და გიორგი ლაზარიაშვილი ამით აუწყებენ ნათესავთა და ნაცნობთ, რომ შაბათს, 19 ოქტომბერს, ქვაშვეთის ეკლესიაში გადახდილი იქნება ორმოცი დღის წირვა და პანაშვიდი ძვირფას და დაუვიწყარ

ზაქარია (შაქრო) ლევანის ძის ქურთაშვილის

სულის მოსახსენებლათ. (1—1)

სახალხო სახლი. კვირას, 20 ოქტომბერს, დღის 12 საათზე

ქალ. ბაქოს დროებითი აღმასრულებელი კომიტეტის პრეზიდიუმის წევრი

გ. გ. აიოლო

გააკეთებს მოხსენებას

ბაქოში მომხდარ ამბებზე

ბილეთები იყიდება ამთავითვე სახალხო სახლის კასაში დილის 10—2 საათამდე და საღამოს 6—10 საათამდე. (2—1)

დაიბეჭდა და ამ დღეებში გასასყიდათ გამოვა

ნოე ჟორდანიას ახალი ბროშიურა:

სოციალ-დემოკრატია და საქართველოს სახელმწიფო ორგანიზაცია

გამოცემა საოლქო კომიტეტისა.

ფასი ერთი მანეთი. აგენტებს და გამყიდველებს, ვინც წაიღებს არა ნაკლებ 50 ცალისა, დაეთმობათ ოცი პროცენტის დაკლებით. ფული წინდაწინ უნდა იქნას გადახდილი. საწყობი „ერთობის" რედაქციაში.

ამ დღეებში განახლდება გამოცემა იუმორისტულ ჟურნალ

„ეშმაკის მათრახი"-სა

ეშმაკის მთავარი მონაწილეობით.

ქ. ქუთაისში ორი ოქტომბრიდან განახლდა გამოცემა

გაზეთ „სოციალ-დემოკრატი"-სა.

მკითხველებს შეუძლიანთ მოიკითხონ ყველა პროვინციელ აგენტებთან.

გაზ. „სოციალ დემოკრატი"-ს კანტორა.

ქართული ლატარია

5,000,000 მან.

ქართული უნივერსიტეტის და თეატრის სასარგებლოდ

პირველი მოგება 100,000 მანეთია.

ბილეთები იყიდება ყველგან, სადაც კი გამოცხადებულია.

## კვლავ ზავის გარშემო

ომის დღეები დათვლილია. ჩრდილოეთ-ამერიკის შეერთებული შტატების განზრახვები მიზანს ვერ მიახწევს. მას დასავლეთ ევროპის კაპიტალისტური სახელმწიფოების საბოლოვო დასუსტება განუზრახავს და ამ გზით ცდილობს მსოფლიო ბაზარზე გაბატონებას.

მაგრამ ეს ისეთი მაცდური პოლიტიკაა, რომ ამას ადვილათ მიუხვდება ევროპის დემოკრატია და თვით ბურჟუაზიული კლასებიც. ამიტომაც, იმედი არ არის, რომ ევროპამ კვლავ ომი გააჭანგრძლივოს და გერმანიის განადგურება თავს იდოს. გერმანიის დამარცხება და მის ნანგრევებზე შეთანხმების სახელმწიფოების გამარჯვება ისეთივე პრობლემატიურია, როგორც გერმანიის მოწინააღმდეგებზე გაბატონება. ორივე კოალიცია ამ ჟამათ ისეთ პირობებში იმყოფება, რომ მათ ერთი მეორეზე გამარჯვება არ შეუძლიანთ. ან ორივენი ერთად გაიმარჯვებენ, ან ორივენი ერთად დაიღუპებიან.

გამარჯვება, ვიმეორებთ, შეუძლებელია, ხოლო ორივეს დამარცხება კი დამღუპველია მთელი კაცობრიობის ეკონომიური და სულიერი კულტურისა. მით უმეტეს, რომ ამ ბოლო დროს წარმოიშვა ისეთი საზოგადოებრივი ურთიერთობა, რომელიც მეომარ სახელმწიფოების გაბატონებულ კლასების დაპყრობითი პოლიტიკას საგრძნობლათ შეზღუდავს.

გერმანიის დემოკრატია ზავის მოციქულათ გამოვიდა და მას ევროპის დანარჩენ სახელმწიფოების მუშათა კლასი ეხმაურება. ეს დღეს უკვე ფაქტია და არც ერთ სახელმწიფოს მთავრობას არ შეუძლიან ამ მოვლენას ჯეროვანი ანგარიში არ გაუწიოს.

მაგრამ ეს კიდევ იმას არ ნიშნავს, რომ დემოკრატია, რომელიც ზავს აუცილებლად დააჩქარებს, მომავალ სამშვიდობო კონფერენციაზე გადამწყვეტ როლს ითამაშებს და ბურჟუაზიულ კლასებს უფლებებს სრულიათ წაართმევს. რამდენათაც საერთაშორისო მდგომარეობას ვიცნობთ — ამისათვის ინტერნაციონალური დემოკრატია არ არის მომზადებული. რომ ეს მოხდეს—საჭიროა უფრო ღრმა საერთო ცვლილება და ყველა მეომარ სახელმწიფოებში დემოკრატიის სრული გამარჯვება. ეს უფრო მომავალის საკითხია და ზავი კი შედარებით ადრე მოხდება.

მხოლოდ ერთი რამ კი აშკარაა: საერთაშორისო დემოკრატია იმდენათ ძლიერია, რომ იგი მეომარ სახელმწიფოების იმპერიალისტებს საშუალებას არ მისცემს განუვითარებელ და უკან ჩამორჩენილ ქვეყნებზე პოლიტიკურათ იბატონონ და ისინი თავიანთ პროვინციებათ გამოაცხადონ. დღეს საერთაშორისო დემოკრატია იმდენათ ძლიერია, რომ იგი ერთა თვითგამორკვევის პრინციპს მაინც სისრულეში მოიყვანს და მრავალ ერებს პოლიტიკურ თავისუფლებას მიანიჭებს.

მაგრამ ეს იმას არ ნიშნავს, რომ მსხვილ და მრეწველობით განვითარებულმა სახელმწიფოებმა ეკონომიური გავლენის სფეროები არ შეინარჩუნონ და ესა თუ ის უკან ჩამორჩენილი კუთხე თავის გავლენის ქვეშ არ მოაქციონ. მართალია ასეთი გავლენა შემდეგში პოლიტიკურ ბატონობათ გადაიქცევა, მაგრამ შემდეგში რა იქნება—ეს მომავლის საქმეა და იმაზეა დამოკიდებული, თუ რამდენათ გაძლიერდება საერთაშორისო დემოკრატია.

ჩვენ ვგონებთ მომავალი დემოკრატიის, და არა ბურჟუაზიის სასარგებლოთ შეიცვლება. მხოლოდ ამჟამად ბურჟუაზია—მაინც შეეცდება არსებული ურთიერთობა გამოიყენოს და დაწინაურებულმა სახელმწიფოებმა მაინც ომის შედეგებით ასე თუ ისე ისარგებლონ. მით უმეტეს, რომ ამერიკა მეტათ დაინტერესებულია ამაში და მომავალ სამშვიდობო კონფერენციაზე ბევრ მომხრეებს იშოვის.

ეკონომიური გავლენის განმტკიცება მარტო ამერიკის სურვილს არ შეადგენს, მას გვერდში ამოუდგება იაპონია და სხვა სახელმწიფოებიც, სადაც დემოკრატია ისე ძლიერი არ არის, როგორც ევროპის ზოგიერთა სახელმწიფოებში.

არც ეს ომი და არც დემოკრატიული მოძრაობა საერთაშორისო დემოკრატიის სრულ გამარჯვებით ვერ დასრულდება. და მაშასადამე ბურჟუაზიული კლასების იმპერიალისტური პოლიტიკაც სავსებით და ძირიანად არ მოისპობა. აქ ძლიერი სახელმწიფოები კვლავ ბევრს რამეს შეიძენენ, უფრო ჩამორჩენილ სახელმწიფოების ხარჯზე ეკონომიურათ გაძლიერდებიან და ამ განუვითარებელ სახელმწიფოებიდან რაიმე სახით ეკონომიურ კომპენსაციებს მიიღებენ.

მართალია ასეთი შედეგი დიდათ სამძიმოა საერთაშორისო დემოკრატიისათვის, მაგრამ იგი იძულებულია ასეთ კომპრომისებზე წავიდეს.

დღეს დემოკრატია საზოგადოების ისეთი ძალაა, რომელიც ზავს დააჩქარებს, ომის გახანგრძლივებას ბოლოს მოუღებს, იმპერიალისტურ ომის პოლიტიკურ ბატონობის ხასიათს წარმოუდგენლათ დაასუსტებს და ერთა შორის თავისუფალ კავშირს, თავისუფალ მიმოსვლას დაამყარებს და თითოეული ერი, როგორც დამოკიდებული კავშირი, შევა ისეთ კოალიციაში, რომელიც მისთვის საჭირო და აუცილებელი იქნება. ამ ნიადაგზე აშენებული მომავალი ზავი ხალხთა გადაჯგუფება-შეკავშირების სფეროში დიდ ცვლილებას მოახდენს და ომამდის არსებული ტერიტორიალური საზღვრები საგრძნობლად შეიცვლება. საერთაშორისო დემოკრატია ბურჟუაზიულ კლასებს იძულებულს გახდის მალე ზავი ჩამოაგდონ და დამოუკიდებელ ერთა შორის ეკონომიური კავშირები დაამყარონ.

## პრესა

მართალი უთქვამთ: საქმემან შენმან გამოგაჩინოსო. ნაციონალიზმის სიკოტრე ისე ნათლათ არასოდეს არ გამოაშკარავებულა, როგორც ეს 15 ოქტომბრის სხდომაზე მოხდა საქართველოს პარლამენტში. სულ უბრალო და მარტივი კითხვა ირჩეოდა: მიეცეს თუ არა ამიერ-კავკასიის კერძო უნივერსიტეტს დახმარების სახით 50 ათასი მანეთი, სოციალისტ-ფედერალისტებმა სიტყვა ბანზე აგდეს და სახალხო სკოლათა რიცხვის გამრავლების საჭიროება დაასახელეს იმის საბუთად, რომ უნივერსიტეტს დახმარება არ მისცემოდა. ჩვენ არ გვსურს ეჭვი შევიტანოთ მათი განცხადების გულწრფელობაში, მაგრამ ერთი გარემოება გვაფიქრებს: რატომ მოხდა, რომ სასკოლო კომისიაში, სადაც დახმარების საკითხი ირჩეოდა, კრინტიც არ დაუძრავთ საწინააღმდეგოთ აღნიშნულ პარტიის წარმომადგენლებს.

სამწუხაროა, რომ ამ საკითხში ს-ფედერალისტები ნაციონალ-დემოკრატების კომპანიაში აღმოჩნდენ, თუმცა ბ. ილ. წერეთელმა შესაფერი პასუხი გასცა ბ. ვეშაპელს კაციჭამიობის ფილოსოფიაზე.

თუ რა მარცხი მოუვიდათ ნაციონალ-დემოკრატებს, ეს კარგათ იცის ყველამ, ვინც პარლამენტის სხდომის ანგარიშს არის გაცნობილი. ეტყობა ნაციონალისტები გრძნობენ ამ უხერხულობას და თავის გამართლებას შესდგომიან. ეს უმადური როლი ბ. ლ. ჯაფარიძეს უკისრია; „საქართველოს" გუშინდელ ნომერში ის სწერს:

ვერავინ იტყვის, რომ შესაძლო იყოს საზოგადოთ მთელი რუსული კულტურის უარყოფა, მაგრამ ჩვენი კულტურული დაახლოება ისევე უნდა დაშორდეს ერთმანეთს, როგორც დაშორდა პოლიტიკური ურთიერთობა".

თუ კი არ არის შესაძლო მთელი რუსული კულტურის უარყოფა, მაშ რა საბუთი აქვს ბ. ჯაფარიძეს, რომ უარყოფს უნივერსიტეტს? ის ხომ ვერ ჩაითვლება საბუთად, რომ რაკი პოლიტიკურათ მოვშორდით რუსეთს, ამიტომ კულტურული მოშორებაც არის საჭირო. ბ ლ. ჯაფარიძე ცდილობს თავის უბადრუკ აზრის დასაბუთებას. ის სწერს:

„უკანასკნელმა საუკუნემ საქართველოს კულტურა მძლეთ მოხარა ჩრდილოეთის გავლენის ქვეშ და ახალთაობათა მთელი რიგი წმინდა რუსულ გავლენას დაუმორჩილა".

ბ-ნ ჯაფარიძეს ავიწყდება ის უბრალო ჭეშმარიტება, რომ იმ დროს, როცა რუსეთი შემოვიდა ჩვენში, საქართველო წარმოადგენდა ფეოდალების სათარეშო მოედანს და სწორეთ ამიტომ იყო, ჩვენ გავიცადეთ რუსეთის გავლენა და დღემდის ჩვენს მოღვაწეებს სასირცხოთ არ მიაჩნდათ ის გარემოება, რომ მათ რუსეთში მიიღეს სწავლა-განათლება და რუსეთის მოწინავე ინტელიგენციის იდეები შეითვისეს. ამ იდეების წინააღმდეგია ბ-ნი ლ. ჯაფარიძე და მისი პარტია, თორემ როგორ მოხდა, რომ ბ-ნნი ნაციონალ-დემოკრატები და მათი მომავლინებელი თავად აზნაურობა ისე კარგათ ითვისებდენ რუსეთის ბიუროკრატიას. ბ-ნ ვეშაპელს თავიც კი მოსწონს თვითმპყრობელობის სამსახურით: აკი ისე თამამათ უკიჟინა ირ. წერეთელს: რუსეთის ციხეებში ამოლპითო?!

ნაციონალ-დემოკრატების დასახასიათებლათ საჭიროა მოვიყვანოთ ბ. ლ. ჯაფარიძის წერილიდან კიდევ ერთი ადგილი:

„დღევანდელს ჩვენს მდგომარეობაში არც ერთი ერის კულტურა არ შეიძლება იყოს ისე დამღუპველი ჩვენი საკუთარის აღორძინებისათვის, როგორც რუსულია".

ვეჭვობთ, რომ ამ სტრიქონების დამწერს ესმოდეს, თუ რა არის კულტურა? ბ. ჯაფარიძეს ალბათ ჰგონია, რომ კულტურა და პოლიტიკური ბატონობა ერთი და იგივეა, თორემ როგორ შეიძლება ჟურნალისტმა თქვას: კულტურის გვეშინიაო. ჩვენ არც ერთი კულტურის არ გვეშინია, პირიქით, ჩვენ გვეშინია უკულტურობის, ხოლო ნაციონალ-დემოკრატები უკულტურობას ეთაყვანებიან. აკი ამიტომ ისინი ბარბაროსულ ოსმალეთის ბატონობას ამჯობინებდენ რუსეთის დემოკრატიასთან კავშირს?

***

ამ კითხვას ეხება აგრეთვე გარუსებულ თავადების ორგანო „გრუზია". ამ ორგანოში ვინმე „გრაჟდანინი" ამტკიცებს, რომ ველიკოროსი მოდგმით არის ველური. დასამტკიცებლათ მოჰყავს ბოლშევიკების თვითნებობის მაგალითები, თუმცა მას შეეძლო ალექსეევ-დენიკინის მხეცობაც აღენიშნა. მაგრამ ბ. გრაჟდანინის სურვილია წიხლი ჩასცეს სოციალიზმს. ამიტომ ის ასეთი ფილოსოფიით გვიმასპინძლდება:

„პარლამენტის უკანასკნელ სხდომაზე ბ. ნინიძე ძალზე აღშფოთდა ბ. ვეშაპელის გალაშქრებით რუსულ კულტურის წინააღმდეგ. ბ. ნინიძეს ალბათ სახეში ჰქონდა რუს საზოგადოების ის ნაწილი, რომელსაც არაფერი საერთო არა აქვს სოციალიზმთან და რომელიც რუსეთის ბურჟუაზიის წარმომადგენელია".

უნდა მოვახსენოთ ბ. გრაჟდანინს, რომ რუსეთში სწორეთ სოციალიზმია სუსტი და ამიტომ იქ ბატონობენ არა სოციალისტები, არამედ კ. თუმანოვების და ვეშაპელ-გაბაშვილების მიმდევრები! სწორეთ ამიტომ აქვს ადგილი ათასგვარ მხეცობას!

## დეპეშები

(საქართველოს დეპეშათა სააგენტო).

18 ოქტომბერი.

**გერმანიის პრესა** დაინიშნა რეიხსტაგის და სახალხო პროგრესიულ პარტიის წევრი, ნაფიცი ვექილი ჰაუსმანი უპორტფელო სტატს-სეკრეტრათ. სოც.-დემოკ. მწერალი დავიდი—საგარეო საქმეთა სტატს სეკრეტრის თანაშემწეთ; რეიხსტაგის წევრი ცენტრის თანამგრძნობი მუშათა წარმომადგენელი გიესბერტი—შრომის უწყების სტატს-სეკრეტრის თანაშემწეთ. რეიხსტაგის წევრი სოც.-დემ. მუშათა წარმომადგენელი შმიდტი — საინტენდანტოს სტატს-სეკრეტარის თანაშემწეთ და სოც.-დემ. პარტიის წევრი დ—რი მიულერი სასურსათო უწყების სტატს სეკრეტრის თანაშემწეთ.

„ტაგებლატი" განიხილავს ვილსონის ნოტას და ამბობს, რომ ბისმარკი ჯერ კიდევ 1870 წ. საფრანგეთის დამარცხების დროს განიხილავდა საკითხს... (გამოტოვებულია) დაცლის შესახებ. გაზეთი განსაკუთრებით აღნიშნავს გერმანიის კონსტიტუციის ცვლილების მნიშვნელობას ამერიკის ნოტის შემდეგ. ირკვევა, რომ გერმანიაში ამ ბოლო დღეებში მრავალი რამ შეიცვალა. გუშინ კავშირთა საბჭომ მიიღო კონსტიტუციის ცვლილება, რომლის თანახმათ იმპერატორს ერთმევა ომისა და ზავის საკითხში გადამწყვეტი უფლება ხალხის წარმომადგენლობის დამოუკიდებლათ. ეს ის რეფორმაა, რომელსაც გერმანიაში დიდი ხანია თხოულობდენ სწორეთ ისე, როგორც პარლამენტარულ წყობილების შემოღებას. ვილსონი მოითხოვს ჩვენგან, რომ ჩვენ სახელმწიფო გადატრიალება მოვახდინოთ. ამაზე ჩვენ შეგვიძლია უპასუხოთ: „ჩვენ ეს უკვე მოვახდინეთ თვითგამორკვევის უფლებათა მიხედვით, რომელიც ჩვენ ისევე გვეკუთვნის, როგორც აღმოსავლეთის ნაციებს. ხოლო მას, რაც გვაკლია მალე შევასრულებთ. მაგრამ იმ დროს, როცა ჩვენ განვთავისუფლდით შინაურ მონობიდან, რასაკვირველია არა გვსურს მონობის უღელი გარეშემ დაგვადგას. ვილსონის სიტყვების შემდეგ ზავი გვაინდება. ნოტის ხასიათი უარესია. ის მოთხოვნილებანი, რომელიც იქა სწერია. ვილსონი მოციქულია ხალხთა შერიგებისა და გაბედნიერების, მაგრამ მის ნოტას ძალადობის ხასიათი აქვს. ვილსონი ამბობს, რომ მას სურს დაუფარავი ლაპარაკი, რომ ის ყოველთვის ებრძოდა დიპლომატიის ძველ მეთოდს, მაგრამ დღეს ჩვენ ვხედავთ მას ამ მეთოდების აღმსარებლათ. ჩვენ ვხედავთ, რომ ამ ნოტასთან ერთად იზრდება მისი მოთხოვნილებანიც და ზურგს უკან ხმალ ამართული გვემუქრება. ახალი გერმანია, რომელსაც სურს საპატიო მორიგება ყველა ერებთან, არასდროს არ დაივიწყებს იმას, ვინც დიქტატორის ტონით დაიწყებს მასთან ლაპარაკს.

შვეციის სოც.-დემ. პარტიამ გაუგზავნა გერმანიისას შემდეგი მისალოცი დეპეშა: „გერმანიის დემოკრატიის გამარჯვებას ჯერ კიდევ ომის დაწყებამდე სთვლიდენ ინტერნაციონალის საუკეთესო მებრძოლნი აუცილებელ პირობათ მტკიცე, ხანგრძლივი და საყოველთაო ზავის დასამყარებლათ". (დასასრული არ არის). ტრანსპორტის კრიზისმა, რომლის დაფარვა საფრანგეთში შეუძლებელი გახდა, გამოიწვია შეკითხვა საფრანგეთის ვაჭართა პალატაში საზოგადო სამუშაოთა მინისტრისადმი. მინისტრმა ამ მოვლენის მთავარ მიზეზათ ვაგონების სიმცირე აღიარა.

ჰავასის სააგენტომ გამოაქვეყნა ნოტა, რომლითაც იუწყება, რომ საფრანგეთმა ფინლიანდიასთან დიპლომატიური კავშირი შესწყვიტა.

**როტერდამი.** პოლიტიკურ მოღვაწეთა აზრით, ზავის დამყარების იმედი ახლა უფრო მეტია, ვიდრე ოდესმე წინათ. ვილსონი კისრულობს ისეთ დიდ პასუხისმგებლობას, რომლის მაგვარი ისტორიას ძვირათ თუ დაუკისრებია რომელიმე სახელმწიფო მოღვაწისათვის.

**ჟენევა.** ამერიკის სენატში სენატორმა უიქსმა შეიტანა წინადადება, რომ ზავის მოახლოების გამო აუცილებლათ საჭიროა შეიქნას განსაკუთრებული საპარლამენტო კომიტეტი, რომელმაც უნდა იზრუნოს დემობილიზაციის მოხდენაზე.

**გერმანიის პრესა** იმის შიშით, რომ ქ. ვალენსიენსაც მალე დაუშენენ ყუმბარებს და 30,000 მშვიდობიანი მცხოვრების შეჩერება, რომელნიც აღმოსავლეთით გარბიან, შეუძლებელი ხდება, გერმანიის მთავრობამ ხელმეორეთ მიმართა შვეიცარიას, რათა მან გააცნოს საფრანგეთის მთავრობას საქმის მდგომარეობა და სთხოვოს ჩრდილოეთ საფრანგეთის მშვიდობიან მცხოვრებთა ინტერესებისათვის ხელი აიღონ დიდი ქალაქების განადგურებაზე და თავისი მოკავშირენიც დაითანხმონ ამაზე. გერმანიის მთავრობა თანახმაა ნება დართოს მცხოვრებთა ნაწილს გადავიდენ ფრონტის ხაზიდან საფრანგეთის ტერიტორიაზე, მაგრამ ეს საკითხი უნდა გადაწყდეს ფრონტების ერთი მეორესთან შეთანხმებით. იმ შემთხვევაში, თუ საფრანგეთის მთავრობა არ დასთანხმდება გერმანიის წინადადებას, გერმანიის მთავრობა არ იკისრებს იმ უბედურ შემთხვევათა პასუხისმგებლობას, რომელიც თავს დაატყდება აღნიშნულ ქალაქთა მცხოვრებთ „განმანთავისუფლებელთა" ყუმბარებისაგან.

ვარშავის გაზეთები იუწყებიან, რომ სამეფო საბჭო ცდილობს რაც შეიძლება მალე აიღოს თავის ხელში ქვეყნის მართვა-გამგეობა და ჯარის ორგანიზაცია.

გერმანიის მთავრობა შეუთანხმდა პოლონეთის რეგენტის საბჭოს პოლონეთის ჯარისკაცთა ფიცის მიღების შესახებ. ახალი ფიცი ასეთია: ვფიცავ ყოვლად-შემძლე მეუფის წინაშე, რომ სიმართლით ვემსახურო ჩემს ქვეყანას, პოლონეთის სახელმწიფოს, და რეგენტის საბჭოს, როგორც პოლონეთის მომავალ უმაღლეს მთავრობის დროებით წარმომადგენელს; ვიმსახურო ხმელეთზე და ზღვაზე. ვფიცავ, დავემორჩილო ოფიცრებს და შევასრულო ბრძანება მათი რათა ვიცოცხლო და მოვკვდე როგორც გულადი და პოლონეთის საამაყო ჯარისკაცი".

პასპორტები, რომელიც საჭირო იყო პოლონეთში გადასვლის დროს, ეხლა გაუქმებულია.

**ჟენევა.** ამერიკელთა სენატში სენატორმა უიქსმა შეიტანა წინადადება, რომ ზავის მოახლოვების გამო, საჭიროა შევქმნათ განსაკუთრებული საპარლამენტო კომიტეტი, რომელიც იზრუნებს დემობილიზაციაზეო.

**ლუგნო.** იტალიის გაზეთებს შიში აქვთ იმის გამო, რომ ცენტრალურმა სახელმწიფოებმა მიიღეს ვილსონის საზავო პროგრამის მუხლები. გაზ. „კორიერო" სწერს, რომ იტალია თავის მიზნებს ვერ განახორციელებსო.

**ბუდაპეშტი.** მეფემ მიიღო მინისტრ-პრეზიდენტი ვეკერლე და უთხრა რომ ის აღიარებს კაბინეტის გადადგომას, რადგანაც ის თანაუგრძნობს ამ კაბინეტს.

**ბერლინი.** სამხედრო მოხსენება. დასავლეთის ფრონტი. კრონპრინც რუპრეხტის ჯარი. ჩვენი ფრონტი დავწიეთ ტორხუტ-კოოლსკამპ-ინგელმიუნსტერის ხაზამდე და აგრეთვე ლისს აქეთ. ჩვენ მიერ დაცლილი ტერიტორია მტერმა დაიკავა. კოოლსკამპის ორივე მხარეს მტერმა შემოუტია. მტერი აგრეთვე უტევდა კორტრიკსა და მენემასთან. მოწინააღმდეგე ყველგან მოგერიებულ იქნა. ხოსის ხაზზე მტერი შემოიჭრა. ველოსიპედების ბატალიონებმა უკუ აგდეს მტერი და ხელახლა დაიკავეს ძველი პოზიციები. ინგლისელთა არტილერია ქ. დენენს კიდევ უშენს. მდ. ენის ფრონტზე სწარმოებს საარტილერიო ბრძოლები. ორნის ჩრდილოეთით მტრის იერიშები მოვიგერიეთ. გრანდ-პრეს დასავლეთით ფრანგები, რომლებიც იერიშით წამოვიდნენ, სასტიკად იქნენ დამარცხებულნი.

სამხრეთ-აღმოსავლეთის ფრონტი. ჩვენ ახალ ფრონტზე იაგოდინსა და ნიშს შუა მტერი მოუახლოვდა დასავლეთ მორავას, კრუშევაკსა და ალექსინაკს. კერძო იერიშები, რომლებიც მას ამ ხაზიდან მოჰქონდა მოგერიებულ იქნა.

**სტამბოლი.** სამხედრო მოხსენება. ყვე-

ლა ფრონტებზე მდგომარეობა არ შეცვლილა.

**ბერლინი.** ლე-კატოსა და უაზს შუა მტერმა კიდევ შემოუტია. ამ ცდამ უნაყოფოდ ჩაიარა.

**ვენა.** სამხედრო მოხსენება. ზინზენენდში იტალიელების იერიშები მოვიგერიეთ.

ალბანიაში მოწინავე რაზმთა შეტაკებებია.

სერბიელები დასავლეთ მორავას მიუახლოვდნენ.

**მოსკოვი.** (ცენტრალ. აღმასრულ. კომიტეტის ცნობა). კუპმონის და კრასნოუფის მიმართულებით ჩვენმა ჯარებმა უკან დაიხიეს. ცარიცინთან მტრის ჯარები დავამარცხეთ. ხელთ ვიგდეთ ბევრი ნადავლი და წამოვიყვანეთ ტყვეები. ბერლინი: ფრანგები ყუმბარებს ესვრიან ლილს, ფრანგებმა წინ წაიწიეს უაზთას. ფლანდრიაში მოკავშირეთა ჯარები იმარჯვებენ. გერმანია თანახმა არის შესწყვიტოს წყალქვეშა ნავებით ბრძოლა. ახალი კონსტიტუციით გერმანიის იმპერატორს უფლება შეზღუდული ექნება ომის და ზავის საქმეების გადაწყვეტაში. ვენა: ავსტრია თანახმა არის მისცეს ავტონომია პოლონეთს. სტოკჰოლმი: ირლანდიაში გააუქმეს საყოველთაო სამხედრო ბეგრის მოხდა. გაზეთი „მანჩესტერ გარდიანი“ მოითხოვს კაიზერის გადადგომას ტახტიდან. სტამბოლში არეულობა არის, ქუჩებში დემონსტრაციები ხდება. ბერლინი: ვარშავის სოციალ დემოკრატებმა გამოაცხადეს საყოველთაო გაფიცვა. გაფიცვამ კარგათ ჩაიარა. ბერლინი: კარლ გესენსკი თანახმა არის მიიღოს ფინლიანდიის ტახტი. გელსინგფორსში ცხრა სოციალ დემოკრატს სიკვდილით დასჯა გადაუწყვიტეს.

**ლონდონი.** ჟურნალ დე დება აღნიშნავს, რომ ვაშინგტონის ნოტები ყოფენ გერმანიის შინაურ ფრონტს. მოქმედების ხაზი, როგორც მაქს ბადენისა ისევე გინდენბურგისა გარღვეულია, გერმანიის დიპლომატიამ მიაღწია უფსკრულს.

**გერმანიის ცნობები.** შეთანხმების სახელმწიფოების ჯარების თავდასხმამ ფლანდრიაში გამოიწვია მასიური გაქცევა მცხოვრებლებისა ბელგიიდან. ლტოლვილები მიისწრაფიან აღმოსავლეთისკენ 16 ოქტომბერს ქალაქ დუას ყუმბარები დაუშინეს ინგლისელებმა.

უმაღლესი კავშირის საბჭოს მიერ მოწონებული იქნა მე 2 პუნქტი მე 11 მუხლისა, სადაც აღნიშნულია, რომ ომის გამოცხადება იმპერიის სახელით შეიძლება მხოლოდ რეიხსტაგის და საბჭოს თანხმობით, მე 3 პუნქტში შემდეგი განმარტება შეიტანეს: ხელშეკრულობები გარეშე სახელმწიფ. უნდა ხდებოდეს რეიხსტაგის და კავშირის მონაწილეობით, ამით მიხწეული იქნება ის, რომ ხალხი მიიღებს მონაწილეობას ომის და ზავის კითხვის გადაჭრაში.

**ჰააგა.** „ნიუ-ბიუროს“ კორესპონდენტი მოითხოვს, რომ მოკავშირეებმა უნდა მოითხოვონ, რომ უმთავრესი კითხვები გადაწყდეს სამხედრო მოქმედების შეწყვეტამდე, კონფერენციაზე მხოლოდ დეტალები უნდა შემუშავდეს.

**ამსტერდამი.** ადგილობრივ გაზეთების ცნობებით, ჰოლანდიაში მოელოდებიან 100,000 ლტოლვილს ბელგიიდან.

**ლეიპციგი** „ლეიპციგის საღამოს გაზეთის“ კორესპონდენტი კიევიდან იტყობინება, რომ კურსკში განიზრახეს ლენინის მოკვლა. რევოლვერის ტყვიით დასჭრეს ლენინი წელში. მკვლელი შეიპყრეს.

## პარტიული ყრილობა და სახალხო გვარდია

ალბათ შემთხვევით მოხდა, რომ მომავალ პარტიულ ყრილობის დღის წესში არაა კითხვა სახალხო გვარდიის შესახებ. საჭირო კი არის. ჩვენი გვარდია, ჩემის აზრით, სავსებით იმ გზით არ ვითარდება, როგორც დავიწყეთ. ამიტომ საჭიროთ მიმაჩნია ეს კითხვა მიემატოს ყრილობის დღის წესს და მასზე წინასწარი მსჯელობა იქონიოს ყველა ორგანიზაციებმა.

ჩემის აზრით აქვე ვაკეთებ ზოგ შენიშვნებს.

როგორც ვთქვი, გვარდიის არსებობაც ერთნაირათ აღარ აინტერესებს ყველა ამხანაგებს. გარეშე მტერთან ზავის შეკვრისა და შინაურ მტრების აღაგმის შემდეგ ზოგმა გული აიცრუა გვარდიაზე, ფიქრობენ რომ ახლა ჯარს შევქმნით და ის გვეყოფაო, მაგრამ ეს შემცდარი აზრია. ჯერ ერთი, რევოლიუცია ჯერ კიდევ არ დამთავრებულა და მაშასადამე შეიძლება ბევრჯერ დაგვჭირდეს კიდევ ისეთი გამოსვლები, სადაც ჩვენი პატარა ნორჩი არმია მარტო ვერ გვიხსნის და მეორე ის, რომ იარაღის დაყრა თვით წარმოშობდა კონტრ-რევოლიუციონურ გამოსვლას, ვინაიდან გათამამდებოდენ ბნელი ძალები. ხომ გაგიგონიათ ქართული თქმულება: „იარაღი უპატრონოთ იბრძვისო“. ამიტომ საჭიროა გვარდიის არსებობას და მის განვითარებას ყველა პარტიის წევრი ყურადღებით მოეპყრას, საჭიროა ყველა ამხანაგი, ვისაც კი შეუძლია, გვარდიაში ჩაეწეროს, თუ აქნომდე არ ჩაწერილა.

მაგრამ კიდევ უფრო საჭიროა ამასთანავე, რომ გვარდია არ ავაცდინოთ იმ გზას, რომელიც არ გამოაცლის მის სახელწოდებაში ნაგულისხმევ თვისებას, საჭიროა ის დარჩეს **მუშათა გვარდიათ**.

მუშათა გვარდია მაშინ შეიძლება ვუწოდოთ სამხედრო ნაწილს, როცა ის შესდგება მართლა მუშებისაგან, როცა მის წევრთ თოფის მიღების გამო სამუშაო იარაღები არ გადაუყრია. თუ მუშებს, გინდ გლეხებს, მუშაობაზე თავს დავანებებინებთ და ყაზარმაში დავასახლებთ, იმათი ნაწილი უკვე მუშათა გვარდიის ხასიათს კარგავს და ჩვეულებრივ ჯარის ნაწილათ იქცევა, მისი წევრები კიდევ ჩვეულებრივ ჯარისკაცებათ. განსხვავება მხოლოდ ერთი შეიძლება იქნეს: მატერიალური უპირატესობა პირველისა მეორესთან შედარებით, რადგან მუშებს და გლეხებს არ შეუძლიათ უჯამაგიროთ ცხოვრება, ხოლო ჯარი უჯამაგიროა. ეს განსხვავება კი თავისთავათ ლაპარაკობს გვარდიის ასეთ სისტემაზე მოწყობის წინაამდეგ, ვინაიდან შეუძლია შური და მტრობა დასთესოს გვარდიასა და სხვა ჯარის ნაწილებს შორის. ამას გარდა მე განუხორციელებლათაც მიმაჩნია ამ სისტემით შექმნა ისეთი გვარდიის, ჩვენ რომ გვინდა: ძალიან ცოტა მუშა ან გლეხი (სრული ამ სიტყვების მნიშვნელობით) მოინდომებს მუდმივ ჯარში ჩაწერას, რადგან, ჯერ ერთი, რომ იმდენ ჯამაგირს მაინც ვერ მივცემთ, რამდენსაც შრომაზე აიღებს და მეორე, ნამდვილი მუშა ძნელათ გასცვლის თავის ხელობას თოფზე. არ უნდა დავივიწყოთ ისიც, რომ ეს სისტემა გამოიწვევდა ზედმეტ ხარჯებს, რითაც ჩვენ შევაძლო მილიცია გაგვეუმჯობესებია.

მაშ როგორი უნდა იყოს ჩვენი გვარდია? ის უნდა იყოს ისეთი, როგორც დავიწყეთ, როგორიც იყო იმ დროს, როცა ქვეყანა იხსნა და როგორიც დარჩა დღემდე უმრავლესათ: გვარდია მუდმივ შეიარაღებული, ორგანიზაციულათ მოწყობილი, ჩვეულებრივ დროს თავის სამუშაოს ასრულებს, ხოლო საღამოობით ან უქმეებზე ვარჯიშობს და მზათაა პირველ დაძახებაზე გამოვიდეს და ჩადგეს თავის წყებაში, სადაც არ უნდა მიდიოდეს ის. მატერიალურადაც ის ასე უნდა ჯილდოვდებოდეს: ეძლეოდეს ჯილდო იმ დროში, რაც მან გაატარა ბრძოლის ველზე. უნდა იყოს აგრეთვე უზრუნველყოფილი მისი ცოლშვილი, თუ ის დაიღუპა. რამდენადაც ვიცი, ასე გულისხმობს ამას პარლამენტის მიერ მიღებული კანონიც.

ზ. დეთიაშვილი.

## ჩვენი ჯარების შექმნა და მისი მტერ-მოყვარენი

ყველამ კარგად იცის, რომ ჩვენი პარტია პრინციპიალურად წინააღმდეგია მუდმივი ჯარის და უარყოფს რა მილიტარიზმს ცხოვრების განვითარების ნორმალურ პირობებში, სახალხო მილიციის პრინციპს იცავს. მაგრამ დღევანდელ არა ნორმალურ პირობებში ამ პრინციპის განხორციელება შეუძლებელია. და ჩვენი პარტიაც, როგორც მმართველი პარტია, რომელსაც ხალხმა ჩააბარა თავისი ბედ იღბალი და დაავალა ცხოვრების ხელმძღვანელობა, იძულებულია მუდმივი ჯარი შექმნას. როცა ჯერ კიდევ საერთაშორისო ომის ქარცეცხლში ვართ გახვეული, როცა ჩვენს რესპუბლიკანურ წეს წყობილებას ირგვლივ მტერი ახვევია და მოსპობით ემუქრება— ასეთ არა ნორმალურ პირობებში აუცილებელი საჭიროებაა გაწრთვნილი რეალური ძალა. როცა ცხოვრება ნორმალურ კალაპოტში ჩადგება და ჩვენ მოვიპოვებთ მტკიცე ნეიტრალიტეტს, რა თქმა უნდა, ჩვენი პარტიაც სავსებით გაატარებს თავის პრინციპს ჯარის საკითხში. ამ კითხვის ირგვლივ არა ერთი და ორი დემაგოგია გვსმენია ჩვენ. ბევრ უპასუხისმგებლო ელემენტებისაგან გაგვიგონია, რომ მუდმივი ჯარის წინააღმდეგი იყავით, ეხლა უარყავით ეს პრინციპიო და სხვა ასეთები, მაგრამ ამ ვაჟბატონებს ავიწყდებათ, რომ ჩვენი პარტია ყველა თავის მოქმედებას უხამებს მდგომარე მომენტს და ისე იქცევა, როგორც ამას მოითხოვს ხალხის კეთილდღეობა და მისი მომავალი. ბევრი გვსმენია აგრეთვე მეორენაირი დემაგოგიაც, რომ სანამ სოციალისტური მთავრობა არსებობს, ჯარი არ გვეყოლება, რადგანაც ისინი წინააღმდეგნი არიან ჯარის და თუ სცნეს მისი დაარსება, ეს მხოლოდ სადეკორაციოთ, სინამდვილეში კი არაფერს არ აკეთებენ მისი შექმნისათვის, ესე იგი ერთგვარ „საბოტაჟს“ აწარმოებენო. მაგრამ სინამდვილემ დაგვანახა ვინ ეწევა გულწრფელ მუშაობას ამ სფეროში და ვინ აწარმოებს ნამდვილ საბოტაჟს, ვინ იღებს მსხვერპლს ამ საქმისათვის და ვინ [illegible] ყურს ცარიელი სიტყვებით. დემოკრატია თითონ სწედს თავის მომავალს და მისთვის მსხვერპლსაც თითონ [illegible]. რაც შეეხება ჯარის შექმნის [illegible] გაჭიანურებას, თუ არის რამე გასაკვირველი, ეს ხომ ჩვენი დემოკრატიის და მათი ხელმძღვანელი პარტიების მიერ არის. დანარჩენი წრეებიდან ხელის შეშლის და არევ დარევის მეტი ჯერ არაფერი სჩანს. თუ რაიმე გამოსვლას ქონებია მათ მიერ ადგილი, მხოლოდ და მხოლოდ ჯარში შუღლის თესვის და სადემაგოგიო მასალის შესაძენათ ყოფილა და მეტი არაფერი. მაგალითებისათვის შორს არ მოგვიხდება წასვლა. ავიღოთ თუნდაც ის მაგალითები, რომელსაც ადგილი ჰქონდა ჩვენს პარლამენტში 8 ოქტომბრის სხდომის დროს. ვინაიდან ჯერ ჩვენ სახელმწიფო ბიუჯეტი არა გვაქვს, მთავრობის განკარგულებაში არის გადადებული ათ მილიონიანი ფონდი, რომლიდანაც ყველა სამინისტროებს კრედიტი აქვთ გახსნილი ამა თუ იმ სასწრაფო და მოულოდნელი ხარჯების დასაფარავათ. რაკი ეს ფონდი ამოიწურა, მთავრობამ სთხოვა პარლამენტს ამ თანხის შევსება. გამოდგენ ჩვენი „დამოუკიდებელი“ ნაციონალ დემოკრატები და დაჟინებით მოითხოვეს, რომ ათი მილიონიდან, რომელიც აღნიშნულ ფონდის შესავსებათ დამტკიცდება, ხუთი მილიონი უეჭველათ გადაიდოს ჯარის საჭიროებისათვისო. სამხედრო უწყებას აქვს მთავრობის მიერ გახსნილი კრედიტი იმდენი, რამდენიც ეს საჭიროა მისთვის (თუმცა სავსებით თავის დროზე ვერ კმაყოფილდება ყველა საჭიროება, მაგრამ ეგ საერთო მიზეზების მიერ გამოწვეული მოვლენაა და ყველა დარგებზე ერთნაირათ ვრცელდება). ათ მილიონიან ფონდს არავითარი საერთო არ აქვს სამხედრო უწყების კრედიტთან და ამ ორი მოვლენის ერთი მეორეში არევ დარევა მხოლოდ გაუგებრობა არის და მეტი არაფერი. სამხედრო მინისტრმაც, ფინანსთა უწყების მინისტრმაც და სხვებმაც ბევრი ანბანური ჭეშმარიტება უმტკიცეს ამ საგანზე ნაციონალ-დემოკრატებს, მაგრამ ამაო გამოდგა. ცხადია, რომ თვით ნაციონალ დემოკრატებმაც კარგათ იცოდნენ, რომ ღია კარებს ამტვრევდნენ, მაგრამ თუ მაინცა და მაინც დაიჟინეს ამ უაზრობის მტკიცება ეს სულ სხვა მოსაზრებით. ეჭვი არ არის ეს გამოსვლა მათ მოახდინეს იმ აზრით, რომ შემდეგ ხალხს უთხრან: აი, მთავრობა არ სცდილობს ჯარის შექმნაზე, არ ზრუნავს მის მატერიალურად უზრუნველყოფაზე და ხუთი მილიონის კრედიტზეც კი უარი უთხრა ჩვენს მოთხოვნილებასო. რა არის ეს თუ არ საძაგელი დემაგოგია? ეხლა იმავ სხდომაზე მომხდარ მეორე ფაქტს შევეხოთ. ნაციონალ დემოკრატების წარმომადგენელმა ბ-ნ ვეშაპელის მიერ წარმოთქმული სიტყვები, რომლებიც უმცირესობათა წარმომადგენლების შესახებ იყო თქმული, მოწმობდენ, რომ მისი აზრით ჩვენი რესპუბლიკის ტერიტორიაზე მცხოვრები სხვა მცირე ერები ხელს უშლიან ჩვენი ჯარის შექმნას და ჩვენი სახელმწიფოს განმტკიცებას. და ასეთი აზრი ხომ მათ არა ერთხელ და ორხელ გამოუთქვამთ საჯაროთ. ჩვენ უარს არ ვყოფთ, რომ ზოგიერთ ერების პლუტოკრატია ებრძვის საქართველოს დამოუკიდებლობას. ასეთი მაგალითების სხვის ერში ძებნა არ დაგვჭირდება, თვით ჩვენი ბრწყინვალე წოდების ზოგიერთ წრეებზე (თუგინდ ბაგრატიონებზე) მივუთითებთ, მაგრამ ჩვენ საქმე გვაქვს დემოკრატიასთან (რომლის ხსენებაც ასე ეჯავრებათ ჩვენს ნაციონალ დემოკრატებს) და რაც შეეხება სხვა ერების შეგნებულ დემოკრატიას, ისინი ქართველ ხალხთან ერთად ეწევიან საერთო მუშაობას ჩვენი რესპუბ. გასამტკიცებლათ. ავიღოთ თუნდაც ჯარის საქმე. თითქმის ყველა ნაწილებში შეხვდებით სხვა ეროვნების ახალ ჯარისკაცებს, რომლებიც სრულიად გულწრფელათ გამოცხადებულა ჯარის ამა თუ იმ ნაწილში, რათა თავისი მოქალაქობრივი მოვალეობა მოიხადოს და მადლობა ღმერთს ეს ხომ ფაქტებია. და როდესაც პარლამენტის ტრიბუნიდან სომხის თუ სხვა ერთა წარმომადგენელთ ირონიით მიმართეს ამ ვაჟბატონებმა ჯარის საკითხში და უცხო სახელმწიფოთა წარმომადგენელნი უწოდეს, რა არის ეს თუ არ ღვარძლისა და შურის თესვა ჯარის იმ ნაწილებში, სადაც ქართველიც, რუსიც და სომეხი ახალგაზრდაც ერთად გამოცხადებულან სამსახურის მოსახდელათ. რა არის თუ არ მტრობის თესვა მცხოვრებთა იმ ნაწილთ შორის, რომლებიც დღეს თუ ხვალ უნდა გამოცხადდენ ჯარში ვალის მოსახდელათ.

ასეთნაირ პროვოკაციულ აგიტაციას და დემაგოგიას ეწევიან ზოგიერთ წრეებში აგრეთვე გვარდიის და ჯარის ურთიერთ შორის დამოკიდებულების შესახებ, რაიც საშინლათ აფერხებს ჯარის საქმეს და შურს თესავს ჯარსა და გვარდიას შორის. რა უშლის ხელს ჯარის შექმნას, რა არის მის დეზორგანიზაციის მთავარი მიზეზები, რა დეფექტები აქვს ჯარის შექმნის ორგანიზაციას და რა ზომებია ჩვენის აზრით საჭირო, ამაზე შემდეგ წერილებში გამოვსთქვამთ მოკლეთ ჩვენს აზრს.

ვიქტორ ნინიძე

## კაენის ტყვეობაში

ამბობენ, სექტემბერში ბაქოში დახოცილ სომეხთა რაოდენობა 15—20 ათასს უდრისო. საშინელებაა... მაგრამ კიდევ უფრო დიდი საშინელება ისაა, რომ ასეთ ფაქტს საზოგადოება ისე ითვისებს, როგორც ჩვეულებრივ რამეს. ორი-სამი გადაყრუებული ტერტერა პანაშვიდს გადაუხდის უღვთოთ დახოცილთ და გათავდა.

სად არის შველა? ნუ თუ სომხის ერი მართლა განწირულია და ძალმა რომ დაჭამოს ის—„თათა“-ს დამძახებელიც არავინ გამოჩნდება? დიახ, ამ საქვეყნო მიწის ძვრისა და ჯოჯოხეთის დროს სხვისთვის თითქო არავის სცალია, მაგრამ მოკავშირის მაძებარი ბევრია. სომხის ერსაც შეეძლო მოენახა მოკავშირე, მოკიდეშირე საიმედო, მაგრამ მას სჭირს ერთი სენი, რომელიც მისთვის საბედისწეროთ იქცა, რომელიც მას ყოველგან უკარგავს საყუდარს. ეს სენი არის ავანტიურისა და ღალატის პარტიის დაშნაკციუტუნის მომაკვდინებელი და გამრყვნელი გავლენა: უბედური ერი ამ კაენის ტყვედ გადაიქცა და ისიც ატრიალებს მას, როგორც გიპნოზით მიძინებულს. ავანტიურა იყო, როდესაც დაშნაკციუტუნმა რუსეთის თვითმპყრობელობის იმედით ხალხი იარაღით გამოიყვანა მაშინ, როდესაც სამხედრო ბედის სასწორი ისე ქანაობდა, და ღალატი იყო, როდესაც შებორკილ ჯალათებს რევოლიუციის შემდეგ მათაც მიაფურთხეს. ავანტიურა და ღალატი იყო ერთ და იმავე დროს, როდესაც ისინი სეიმში ტფილისის მთავრობას მხარს უჭერდენ და ბაქო კი ბოლშევიკებს დააპყრობიეს: ვინ იცის, ბაქო რომ თფილისის ზურგში დანით არ მდგარიყო, იქნება ამიერ კავკ. დემოკრატიას ჰყოფნოდა ენერგია ოსმალეთთან საზღვრების დასაცველათ და ასე საშინლათ და სატირლათ არ აწეწილიყო მისი საქმეები. ღალატი იყო, როდესაც მარტში დაშნაკები და მათგან გაბრუებული საბრალო სომხობა ბოლშევიკებთან ერთად გამარჯვებას დღესასწაულობდა ბაქოს ამლებისა და წყლის მზიდველების ლეშებით გაბორგილ ქუჩებში და „ეხლა თბილისზე უნდა წავიდეთო“—გაიძახოდენ. ღალატი იყო, როდესაც რვა თვის ბოლშევიკებთან მეგობრობის შემდეგ გაძარცვეს ისინი და ისე უბედურათ გაისტუმრეს; ავანტიურა იყო, როდესაც დახმარებას დაჰპირდენ ინგლისელებს, მოიწვიეს ისინი, და ღალატი იყო, როდესაც განცდის დროს თავისი „ძვირფასი გვამებით გემები დატვირთეს“ და თავს უშველეს, მოწვეულები და უდანაშაულო სომხის ხალხი კი შესაშინლად დაუტოვეს გაძხეცებულ ასკერებს და მარტისთვის შურისმაძიებელ ბრბოს.

ავანტიურა და ღალატია, როდესაც დაშნაკებმა, მოუსპეს-რა სომხის ერს ყველა ხას ჩრდილში დასაჯდომი, მიადგენ უკანასკნელს—საქართველოს დამოუკიდებლობას და ძირს უთხრიან მას.

ეს რომ ღალატი არ იყოს, მაშინ იმ არაკის გმირის მოქმედებას ემზგავსებოდა, რომელიც იმ მუხას ძირს უჩიჩქნიდა და ახმობდა, რომლიდანაც თვითონ საზრდოობდა.

დიახ, დაშნაკების საქართველოში მოქმედება ღალატია იმ სომხობის, რომელთაც საქართველოში მოუთქვამთ სული და რომელთა რაოდენობაც ათიათასობით განისაზღვრება. ან დამოუკიდებელი საქართველო მისი ძვირფასი მოკავშირე ერის გმირ შვილებთან ერთად—დღეს ჩვენ ამას სიამაყით და ხაზ გასმით ვღვ ნიშნავთ—ან ის ბრბოები, რომელთაც ბაქოში სისხლის ზღვა დააყენეს და მაშინ შესაძლებელია გვარ ტომობის მიხედვით დახოცილთა და სისხლში ჩამხრჩვალთა იგივე პროპორცია მიგვეღო, რომელიც ბაქოში.

ამბობენ, სპარსეთში სომეხთა ლტოლვილნი ინგლისელებმა არ მიიღეს, კრასნოვოდსკში მხოლოდ ისინი გადასხეს ნაპირზე, რომელთაც ქალაქში რამე ქონება გააჩნდათ და ასტრახანში მიმდგარ გემს ბოლშევიკებმა ზარბაზანი ესროლესო.

ყველა ეს თუ სიმართლე არ არის, სიმართლესთან ახლოა..

სომხის ერს გადაარჩენს მხოლოდ გამოფხიზლება. მაგრამ როდის მოხდება ეს სასწაული. როდის იქნება, რომ მრავალ ტანჯული ერი მოიშორებს საშინელ წყევლას, თავს იხსნის კაენის ტყვეობისაგან.

ალფა ც სკარიძე

## ჩვენი უმრავლესობა

(პარლამენტის 11 ოქტომბრის სხდომა).

11 ამ თვის პარლამენტის კრება ისტორიულ კრებათ უნდა ჩაითვალოს. ამ დღეს ჩვენს ფრაქციას ჩამოშორდენ ყველა ფრაქციები საჭიროება ამ დღეს აშკარათ გამოჩნდა ჩვენი უმრავლესობისა.

მართალია ერთი მოწინააღმდეგეთაგანი გვარწმუნებდა, რომ სოციალდემოკრატებმა უმრავლესობა ეხლა მოიპოვესო, ეროვნულ უმცირესობათა შემოსვლით ჩვენს პარლამენტში, მაგრამ ეს მოასწავებს იმას, რომ მთქმელმა უბრალო ციფრიც კი არ იცის; ან და ანგარიშს არ უწევს ფრაქციათა რაოდენობას.

120 დეპუტატიდან ჩვენს პარლამენტში 68 არიან სოციალდემოკრატები. აქედან აშკარაა, რომ ჩვენ გვეკუთვნის უმრავლესობა, თუ კი ყველა ჩვენი ამხანაგი პარლამენტის სხდომას დაესწრება. შემოსულ ეროვნულ უმცირესობათა წარმომადგენლებს რა თქმა უნდა სრული უფლება აქვთ მიემხრონ იმ მხარეს საითაც სურთ.

ჩვენ მათ გულწრფელათ ვეგებებით ჩვენს პარლამენტში, თუმცა ვიცით, რომ დღეს თუ იგინმა ჩვენ დაგვიჭირეს მხარი —ხვალ აქნება შემთხვევა, როცა ესენი ჩვენს წინააღმდეგ, ჩვენს მემარჯვენე პარტიებს მისცემენ მხარს.

ეს არის დამოკიდებული დროსა და სადავო საგნის მნიშვნელობაზე. ხოლო დღეს წყდება საკითხი იმის შესახებ, თუ რომელ ენაზე უნდა ილაპარაკონ პარლამენტში ამ უმცირესობათა წარმომადგენლებმა. რომ პარლამენტში სახელმწიფო ენა ქართული ენაა—ეს არ იწვევს კამათს.

ვინც იცის ქართული ენა, იმან უნდა ილაპარაკოს ქართულათ, ეს აშკარაა.

მაგრამ რომელ ენაზე უნდა ილაპარაკონ უმცირესობათა წარმომადგენლებმა. აი, სადავო და თავის სამტვრევი საკითხი.

ჩვენ მივიღეთ კანონი, რომ მათ ილაპარაკონ დედა ენაზე. კარგი და პატიოსანი

ასეც შეჰფერის ნამდვილ დემოკრატიულ რესპუბლიკის პარლამენტს. მარა რას იზამ როცა ამით საქმე, მუშაობა ფერხდება.

რას იზამ როცა ამ სახით სულ უბრალო საგანზე უნდა მთელი სხდომები მოვანდომოთ!

რას იზამთ, როცა ამ სახით შვიდი თარჯიმანის დაქირავება დაგვჭირდება!

რას იზამთ, როცა პრეზიდიუმის არც ერთმა წევრმა არც ერთი ამ უმცირესობათა ენა არ იციან!

რას იზამთ, როცა ამ თარჯიმანების წყალობით საქმე ძლიერ გაგრძელდება? მერე გადმოგვცემს კი ეს დაქირავებული „ჩინოვნიკი“ თარჯიმანი საქმის გარემოებას ისე სავსებით და სამართლიანად, როგორც ეს ხალხის წარმომადგენელმა წარმოსთქვა?

მაგ. სომეხმა არ იცის ქართული. მან ილაპარაკა სომხურათ. დაქირავებულმა „ჩინოვნიკმა“ გადმოგვცა ეს სიტყვა ქართულათ.

ვინ არის იმის თავდები, იმის პასუხისმგებელი, რომ ეს თარგმანი ეთანასწორება დედანს?

ხომ შეიძლება მოხდეს სიყალბე, დამახინჯება თარგმანის.

მერე რათა!

რა მოსაზრებით!

რომ არ გვქონდეს ამ ცუდი მდგომარეობიდან გამოსასვლელი გზა, კიდევ ჰო!

მარა ეს გზა არის.

არის ენა, რომელიც ესმის დღეს ყველას პარლამენტში.

არის ენა, რომელსაც შეუძლია დაგვიხსნას ჩვენ დღეს ამ მოსალოდნელ გაუგებრობა-არევ-დარევისაგან.

რატომ არ უნდა ვისარგებლოთ ამ ენით—ისიც დროებით, სანამ ეს უმცირესობათა ერები ისეთ დეპუტატებს გამოგზავნიდენ, რომელთაც ეცოდინებათ სახელმწიფო ქართული ენა!

რუსული ენა არ შეიძლება ვიხმაროთო. ამ ენამ ას წელზე მეტია რაც გვაწვალა—გაიძახიან მოწინააღმდეგენი. რა ბავშური მოსაზრებაა, რა უგუნურობაა ამის თქმა. ცხენს ვერ შეწვდენ—უნაგირს ამტვრევენო—სწორეთ ეს არის.

აბა ენის რა ბრალია თუ, ჩვენ ნიკოლოზის „ოპრიჩნიკები“ გვახჩობ-გვაწამებდენ?

ბევრჯელ თქმულა, რომ ერთი უცხო ენის სწავლა ახლად დაბადებას უდრისო. ეს მართალიც არის.

ჩვენ კი გვეუბნებიან: ზიზღის თვალით შეხედეთ იმ ენას, რომელიც ჩვენ ისტორიამ ერთათ ერთ სიმდიდრეთ დაგვიტოვა წარსული წვალების ხსნისაგან.

ისინი ვინც თავიანთ ოჯახში, თუ საზოგადოებაში ქართულს არცკი კადრულობენ, მოდიან პარლამენტში და უნდათ ეს მათთვის სახლში საყვარელი ენა აქ პარლამენტში ჯვარზე აცვან.

ჰკა მაგას... აი ჩვენ რომ გვახჩობდა, მაგ ენაზე ლაპარაკობდაო.

აი ლოღიკა, აი მართლ მსჯულება, აი გონიერება თუ გინდათ ეს არის.

დუმბაძეებმა, ყარონგოზოვებმა, მგელაძეებმა და მრავალმა ქართულ ენაზე მოლაპარაკე „ძმებმა“ და „შვილებმა“ ცოტა გვაწვალეს განა?

მაშ დავიძახოთ: ჰკა ქართულ ენასო?

არა! აქ რაღაცა გაუგებრობაა.

მე არ მაკვირვებს შოვინისტ ნაციონალისტების გაუგებრობა.

ამათ სხვა რა ეთქმით, რომ აქ გამორკვეულიყვნენ. მე მაკვირვებს აი ჩვენი მონათესავე ფრაქციების—ეგრეთ წოდებულ სოციალისტების დაბნევა და გაუგებრობა ამ საქმეში. მაგრამ რას იზამ.. კარგი რამ გჭირდეს გიკვირდეს—ავი რა საკვირველია?

ეს კიდევ არაფერი. მე დარწმუნებული ვარ, რომ ჩვენი მოწინააღმდეგენი ძლიერ ჩქარა დარწმუნდებიან თავიანთ შეცდომაში, ხოლო 11 ოქტომბრის ისტორია ჩვენ არ უნდა დავივიწყოთ.

ახლა გვარწმუნდა, ჩვენი კრების მეტი ერთსულობა და ერთგვარობა.

ვერავითარი ისტორია ვერ გაამართლებს იმ შეხედულებას უცხო ენის შესახებ, რომელზეც დღეს ასე ძმურათ დგანან ყველა ჯურის, ყველა სორტის ნაციონალისტები.

მით უმეტეს არ ეპატიება ასეთი შეხედულება და პრინციპის შელახვა თვით ჩვენ ამხანაგებს, თუ ასეთები მართლაც მოიპოვებიან ჩვენში.

ჩვენ ისტორიამ დიდი რამ დაგვაკისრა. ჩვენი პარლამენტი არის პირველი პარლამენტი დედამიწის ზურგზე სადაც სოციალ-დემოკრატები უმრავლესობას შეადგენენ.

ჩვენი პარლამენტი ერთათ-ერთი პარლამენტია, რომელიც ახალ კანონებს სთხზავს და ეს კანონები ცხოვრებაში გაჰყავს.

ყოველი ჩვენი ნაბიჯის, ყოველი ჩვენი საქმის, თუ კანონის გამო ჩვენ პასუხისმგებელი ვიქნებით ერთის მხრით ჩვენი დემოკრატიის წინაშე და მეორე მხრით საერთაშორისო დემოკრატიის წინაშე.

აი გაივლის დრო და ჩვენ დაგვეკითხებიან: „რა აკეთეთ, რას შვრებოდით, მაშინ როცა“ საქართველოს დემოკრატიულ პარლამენტში უმრავლესობას შეადგენდითო.

რა პასუხს გავცემთ მაშინ ჩვენ საერთაშორისო სოციალისტებს თუ დღეს ავყვებით სხვადასხვა ჯურის ნაციონალისტებს და მათსავით გავილაშქრებთ რომელიმე უცხო ენის წინააღმდეგ, თუნდაც რომ ამ ენაზე მოლაპარაკეთ ჩვენთვის ბევრი ტანჯვა-წვალება მოეყენებინოთ?

არა და არა.

წინააღმდეგ. ამ გარემოებამ ჩვენ კიდევ უფრო უნდა გამოგვაფხიზლოს, უნდა ვიცოდეთ და ერთ წუთსაც არ დავივიწყოთ, რომ ასეთი ერთსულიანობა ჩვენი ნაციონალისტებისა პირველი და უკანასკნელი არ იქნება.

თუ ესენი, ეს ჩვენი პარლამენტის მარჯვენა მხარე აქა-იქ გაგვეშუტება და თავის სხდომასაც დასტოვებს, არც უნდა გვაშინებდეს.

ჩვენ უნდა ჩვენი უმრავლესობის პასუხისმგებლობა გვქონდეს სახეში მუდამ და მზათ ვყოთ ჩვენს საქმეს გავუძღვეთ, ამ ჩვენ პოლიტიკურ ბავშვებს კი თავისი ალაგი ვაჩვენოთ...

კეხაშვილი.

## ახალი ამბები

**აიოლლოს მოხსენება.** კვირას, 20 ოქტომბერს ზუბალაშვილის სახალხო სახლში შუადღის 12 საათზე, ბაქოს დროებითი აღმასრულებელი კომიტეტის ყოფილი წევრი გ. აიოლლო წაიკითხავს მოხსენებას ბაქოს ამბებზე.

**სახელმწიფო უნივერსიტეტში** თფილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ყველა ფაკულტეტებზე თხოვნების მიღება შეწყვეტილია.

**შრომის სამინისტრომ** აცნობა შინაგან საქმეთა სამინისტროს, რომ თუ სინოდალური კანტორა სახელმწიფო დაწესებულებათ ითვლება, მის მოსამსახურეებს შტატის შემოკლების გამო დათხოვნის დროს უნდა მიეცეთ სალიკვიდაციო დახმარება 5 ივლისის 1918 წლის კანონის ძალით.

**მასწავლებელთა ნივთიერად დაკმაყოფილება.** სახალხო განათლების სამინისტრო იმუშავებს პროექტს საშუალო სასწავლებლების მასწავლებელთა ჯამაგირების მიმატების შესახებ. პროექტის ძალით მასწავლებელთ უნდა ექნეთ ჯამაგირი არა ნაკლებ 9,000 მანეთისა წლიურად. მასწავლებლებს უფლება არ ექნებათ ორ სასწავლებლებში იმასწავლებლონ.

**ბოლშევიკების დახვრეტა.** ბაქოდან იტყობინებიან, რომ შაუმიანი, ჯაფარიძე და სხვა ბოლშევიკებს მეთაურები, რომელთაც ასტრახანში უნდოდათ გაქცევა, გემს კისლოვოდსკში წაუყვანია, სადაც ისინი დაუპატიმრებიათ, გაუთხრევინებიათ მათთვის სამარეები, დაუხვრეტიათ და იქვე ჩაუყრიათ.

**ბაქოში დაზარალებულ სომეხთა** სასარგებლოდ სომეხთა ეროვნულ საბჭომ გადასდო 100,000 მანეთი. ამავე მიზნისთვის სომეხთა საქველმოქმედო საზოგადოებამ გადასდო 25,000 მანეთი.

**ხოლერა.** უკანასკნელ დღეებში ქალაქის საავადმყოფოში მოიყვანეს 10 ხოლერიანი და 4 საეჭვო. საეჭვოდან სახოლერო განყოფილებაში გადაიყვანეს 4; მორჩა 1; მოკვდა 3 ხოლერიანი და 2 საეჭვო. 12 ოქტომბერს საავადმყოფოში იყო 48 ხოლერიანი და 9 საეჭვო ავადმყოფი.

**საქართველოს სომხების** ეროვნულ საბჭოდან საქართველოს პარლამენტში მეათე წარმომადგენლად არჩეულ იქმნა ერ. ერზნკიანი.

**ექიმთა კურსები** პროფესორ [illegible] როკოგოროვის ხელმძღვანელობით შინაგან საქმეთა სამინისტროს მედიკ

სანიტარული განყოფილება ოქტომბრის დამლევს ხსნის სახელმწიფო სამსახურში მყოფ ექიმთათვის კურსებს სანიტარული ექიმების კადრის მოსამზადებლად. ცნობების მიღება შეიძლება 10—3 საათამდე, ქსენიას ქ. № 10.

✦ სასწავლებელში. 17 ოქტომბრიდან ტფილისის ქალთა საეპარქიო გიმნაზიასთან გაიხსნა საანბანო განყოფილება. სწავლა 25 ოქტომბრიდან დაიწყება. თხოვნების მიღება გრძელდება.

✦ ქართველ ინჟინერთა და ტეხნიკოსთა ამხანაგობის წესდება უკვე დამტკიცებულია. უკანასკნელ კრებაზე აირჩიეს გამგეობაში შემდეგი პირნი: ინჟ. ვ. კაკაბაძე, ინჟ. გ. გეგეჭკორი, ტეხნიკოსი გ. ბერიძე, ინჟ. კ. ბუდაკოვი, ტეხ. მექ. ტ. სპრინქველი, გზათა ტეხ. ბ. მიქელაძე და ინჟ. ვ. იჯანიცკი. კანდიდატებათ: ინჟ გ. კოჩინევი, ინჟ ვ. კანდელაკი და ინჟ. ს. ფიცხელაური. გამგეობა, რომელიც მოთავსებულია ვერის დაღმართზე № 12 ანანოვის სახლში, უკვე შეუდგა მუშაობას.

✦ გაერთიანებული კრება ქართველ ექიმთა და ბუნების მეტყველთა საზოგადოებისა და ქუთაისის ექიმთა კავშირისა დაიწყება 20 ოქტომბერს, 1 საათზე ვაჟთა პირველ გიმნაზიის შენობაში (შესასვლელი როზენის ქუჩიდან). პროგრამა კრებისა: 1) გაერთიანება და შეთანხმება ხსენებულ საზოგადოებათა მოქმედებისა, 2) საექიმო და საბუნებისმეტყველო ტერმინოლოგია—მომხსენებელი ექ. თიკანაძე) 3) ქართველ ექიმთა ყრილობა, 4) სტატისტიკა ქართველ ექიმთა რაოდენობის შესახებ. (მომხსენებელი ექ. დიასამიძე), 5) ქართული საექიმო და საბუნებისმეტყველო ჟურნალის დაარსება, 6) ექიმთა ყრილობების მნიშვნელობა საეროვნო მედიცინის განვითარებისათვის. (მომხსენებელი ექ. მაისურაძე). ქუთაისიდან ჩამოსულ ექიმთათვის ბინა მოწყობილი იქნება ზუბალაშვილის თავშესაფარში სამოსამართლო ქუჩაზე.

✦ საქართველოს რესპუბლიკის სახელმწიფო და საზოგადო დაწესებულებათა მოხელეების კავშირთა კავშირის საბჭოს პრეზიდიუმი საჭიროთ სთვლის რომ საბჭოს სხდომას, რომელიც მოხდება ქართულ კლუბის შენობაში კვირას, ამ თვის 20 ს, დილის 11 საათზე, უსათუოდ დაესწრენ თფილისის ყველა სახელმწიფო და საზოგადო დაწესებულებათა წარმომადგენელნი, რადგან გასარჩევ-გადასაწყვეტია ფრიად საჭირბოროტო საკითხები, ამისათვის პრეზიდიუმი სთხოვს იმ დაწესებულებათ, რომელთაც უკვე ჰყავთ წარმომადგენლები, დაავალონ უკანასკნელთ უსათუოდ დაესწრენ აღნიშნულ სხდომას და რომელთაც არა ჰყავთ ამოირჩიონ ასეთნი.

✦ გაძარცვა. 17 ოქტომბერს საღამოს, იზმაილოვის ქუჩაზე № 7, დივილვერის ბინიდან, რამოდენიმე შეიარაღებულ ბოროტ მოქმედებმა მოკვლის მუქარით წაიღეს 14,000 მანეთი.

კრებები.

შაბათს, 19 ოქტომბერს ნაშუადღევის 5 საათზე თფილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის შენობაში დანიშნულია კრება საექიმო ფაკულტეტის ყველა ქართველ სტუდენტათვის, რომლებიც სწავლობენ ამიერ კავკასიის კერძო უნივერსიტეტში და აგრეთვე დარჩენილთა უნივერსიტეტის გარეშე. განსახილველია ფრიად საგულისხმიერო საკითხები. ამხანაგებს სთხოვენ ყველა დაესწროს.

— კვირას, 20 ოქტომბერს დანიშნულია სახალხო სახლთან არსებული ქართული წარმოდგენის მმართველი წრის კრება. გასარჩევია მეტად საყურადღებო საკითხები. სახალხო წარმოდგენაში დაინტერესებულთ სთხოვენ მობრძანდენ მიხეილის ქუჩაზე № 102, წრის ბინაზე.

— კვირას, დილის 11 საათზე მე 6 ვაჟთა გიმნაზიაში (უდელნის ქუჩა) შესდგება ახალგაზდა მარქსისტთა თფილისის ორგანიზაციის წევრთა საერთო კრება. დასწრება ყველასი სავალდებულოა. კრება შესდგება რამდენი წევრიც უნდა დაესწროს, რადგანაც მეტად სერიოზული საკითხებია გადასაჭრელი.

პროვინციის ქრონიკა.

ს. პატარძეული (გარე კახეთი). სოფელმა გადასწყვიტა აფთიაქის გახსნა. ვისაც სურს აფთიაქის მოწყობა პირობების გასაგებათ უნდა მიმართოს სოფ. პატარძეულის კომისარიატს. სადგური იორი (კახეთის რკ. გზა).

# სასულიერო სემ ნარია

ოქტომბრის 15 ეღირსათ სას. სემინარიის მოწაფეებს სწავლის დაწყება, მაგრამ როგორ პირობებში უხდებათ მათ სწავლა, როგორია მათი მდგომარეობა, წარმოდგენაც შეუძლებელია. საქართველოს რესპუბლიკაში მყოფ სასწავლებლებს სემინარიის გამოკლებით საშუალება მიეცათ, რომ თავისი ძველი ზნე ჩვეულება უკუ ეგდოთ და როგორც დემოკრატიულ რესპუბლიკას შეშვენის ისე მოგვარებულიყო. ასეთი საქმის მოწყობა უპირველესად თვით სასწავლებლის გამგეობის საქმე იყო. ხსენებული სასწავლებლის გამგეობა ახლაც ამ გზას, რადგან მათ არ აინტერესებთ მოწაფეების მომავალი ცხოვრება. პირველი გაკვეთილები დაუთმეს ეგზეგეტიკას (ბიბლია), მხოლოდ მეოთხე და მეხუთე მათემატიკურ საგნებს, რის შემწეობით ცდილობენ ახალ გაზრდული გრძნობის დახშვა დაჩლუნგებას.

როგორც ეჩნევა, ამ მდგომარეობას მოწაფეები ვერ ურიგდებიან და სანამ უთანხმოება მოხდებოდეს, ყურადღების მიქცევაა საჭირო ვისგანაც ჯერ არს.—

ძველი სემინარიელი

# დადგენილებანი

**ტყიბულის მაღაროების შრომის პირობების გამომრკვევ მომწესრიგებელთა თათბირის, შემდგარის თბილისის, ქუთაისის, ჭიათურის, ყვირილის, სამტრედიის და ფოთის მუშათა ორგანიზაციების და შრომის მინისტრის წარმომადგენლებისაგან.**

I

**სასურსათო საკითხის შესახებ**

„დაუყონებლივ წარუდგინოს კატეგორიული მოთხოვნილება ადმინისტრაციას და მთავრობას, რათა თავის დროზედ იქმნას მოწოდებული საჭირო სანოვაგე. მთავრობასთან ამ საკითხზე დამოკიდებულებისათვის ადმინისტრაციამ უნდა იყოლიოს სპეციალური აგენტი. აგრეთვე სპეციალური აგენტი უნდა დაყვებოდეს რკ. გზით გამოგზავნილ სურსათს. მასთანავე კომისია აუცილებლად სთვლის რათა მაღაროს საწყობებში ყოველ დროს იმყოფებოდეს ორი კვირის საყოფი სანოვაგე. რაც შეეხება სურსათის განაწილების საკითხის მოწესრიგებას, ეს უნდა გადაეცეს მოსაწყობათ თვით მუშებს. მომავალისათვის კი თათბირი გამოსთქვამს სურვილს, რათა სასურსათო საქმე მოწყობილ იქმნას მუშათა კოოპერატივების მეოხებით. ვინაიდან ტყიბულში შრომის ხელფასი არამც თუ უდრის სხვა ქალაქებისას, არამედ მეტია იმაზე, თათბირი წარმოებისათვის აუტანლად სთვლის იმ მოვლენას, რომ სურსათი დაკლებულ ფასებში იყიდება და ფირმას დიდი დეფიციტი ედება. ამისთვის თათბირი ადგენს: „ყოველნაირი სურსათი და საქონელი მუშებს უნდა მიაწოდოს ფირმამ იმ ფასებში, რაც უჯდება ხაზინას რკ. გზის ხარჯების გამოკლებით.

შენიშვნა: ეს დადგენილება არ ეხება უკვე მოტანილ სურსათს და საქონელს.

II

**საავადმყოფოს შესახებ.**

ვინაიდან მუშების რიცხვი თანდათან იზრდება და მაშასადამე ავადმყოფობასაც მეტი ადგილი ექნება, როგორც ეს ცნობებიდანაც სჩანს, აუცილებლობას შეადგენს საავადმყოფოს გადიდება-გაფართოება, ჯერჯერობით 40 საწოლამდე მაინც. აგრეთვე დაუყოვნებლივ საჭიროა შეძენილ იქნას წამლები და საავადმყოფოს მოსაწყობი მასალები.

III

**სამუშაო დღის შესახებ.**

თათბირი აუცილებლად სთვლის გატარებულ იქნას ცხოვრებაში კანონი 8 საათის სამუშაო დღის შესახებ და უკლებლივ ამ საკითხის მოგვარება ევალება ადმინისტრაციას მუშათა ორგანიზაციებთან შეთანხმებით.

V

**სამუშაო ხელ-ფასის შესახებ.**

მიუხედავათ იმისა, რომ მუშებისაგან გაფიცვის დროს გაყვანილ ხელ-ფასში არის უთანასწორობა და ზოგიერთ შემთხვევაში შეუსაბამობაც არის დაშვებული, თათბირი შეუძლებლად სცნობს, ამის გამოსასწორებლად ფირმის ჯასავლის გადიდებას. ამიტომ სანამ წარმოება არ გაუმჯობესდება და ნორმალურ მდგომარეობაში არ ჩადგება, არსებული ხელფასი დარჩეს ძველებურად, ხოლო თათბირი გამონაკლისად სთვლის ტელეფონებზე მომუშავეების, მეჯინიბებს და დარაჯების ხელფასს, რომელთა შესახებ სწყვეტს: ყველა ჩამოთვლილი კატეგორიის მუშებს ეძლეოდეს თანასწორი ჯამაგირი თვიურად 460 მან. ხოლო ვინც ამას არ ინდომებს, ნება ეძლევა გადავიდეს დღიურ მუშათ.

V

**კულტურულ-განმანათლებელ ორგანიზაციის შესახებ.**

თათბირი იღებს რა მხედველობაში იმ დიდ მნიშვნელობას სკოლის და საზოგადოთ ყოველივე კულტურულ განმანათლებელ დაწესებულებების, კერძოთ კი ტყიბულის მუშებისათვის, რომლებშიც ამ მხრივ მეტად ჩამორჩენილნი არიან, აუცილებლათ სთვლის დაუყონებლივ ამ საკითხის მოგვარებას. უნდა შეიქმნას სკოლა მოზრდილთათვის, სახალხო სახლი თეატრის და ლექციებისთვის. სკოლასთან უნდა გამართულ იქმნას აგრეთვე სამკითხველოც. ჯერ-ჯერობით, სანამ კაპიტალური შენობები აიგებოდეს, უნდა იქნას გახსნილი მაღაროების მიხედვით ორი სკოლა და ორი სამკითხველო. ამ მიზნისათვის მოწვეულ იქნას ორი მასწავლებელი. აგრეთვე თათბირი სასურველად სცნობს საუბრების და კითხვების ამ თავითვე გამართვა მოწყობას.

VI

**ბინის საკითხი**

თათბირი სთვლის, რომ ბინების კითხვა მაღაროებში სრულიად მოუწყობელია. ის ბინები, რომლებიც არსებობს უვარგისი და ანტი-სანიტარულად მოწყობილ-შენახულია, ხოლო ისიც არსებულ მუშათა რიცხვს არ აკმაყოფილებს, მაშინ როდესაც წარმოება მოითხოვს მუშათა რიცხვის გადიდებას. ამისათვის თათბირი აუცილებლად სთვლის არსებული ბინების შეკეთებას და საჩქაროდ ახალი ბინების აგებას, ბინებთან მისავლელი გზების გაკეთებას და განათებას. სისუფთავის დასაცავად საკმაო დარაჯთა რიცხვის დაყენებას. თათბირი ამასთან უთითებს ადმინისტრაციას იმ საქათმისებური ბუდეების ადგილზე რომელიც ცის ქვეშ დარჩენილ მუშებს გაუკეთებიათ ძველი ფიცრებისაგან, ახალი ბინები უნდა აშენდეს. ყველა ამ საკითხების მოსაწესრიგებლად და მეთვალყურედ უნდა დაინიშნოს სპეციალური გამგე, ბინებზე უნდა მოეწყოს პირის საბანი და წყლის ასადუღებელი ქვაბები.

VII

**ჯამაგირის დარიგების შესახებ.**

თათბირს დაუშვებლად მიაჩნია ორი თვის ჯამაგირების დაურიგებლობა და მოითხოვს დაუყონებლივ დარიგდეს ეს ფული, ხოლო შემდეგისთვის ყოველივე ღონე იქნას მიღებული, რომ ასეთი მოვლენა არ განმეორდეს. ჯამაგირების დარიგების სისტემით ტყიბულში თათბირს საჭიროთ მიაჩნია თვეში ერთხელ ანგარიშის გასწორება, არა უგვიანეს ათი რიცხვისა, ხოლო მანამდის მსურველს უნდა ეძლეოდეს ავანსი.

VIII

**გაფიცვის შესახებ.**

თათბირი შემცდარ ნაბიჯათ სთვლის 17 სექტემბრის გაფიცვებს და უარს ეუბნება მუშებს გამცდარ დღეების ანაზღაურებაზე; ხოლო წინანდელ გაფიცვებში ამტკიცებს საბჭოს და გამგის შეთანხმებას, მათ დაკმაყოფილების შესახებ, რომლებიც ფაქტიურად მაღაროებში იმყოფებიან.

IX

**საორგანიზაციო კითხვები.**

თათბირი დიდ ნაკლად და არა სასურველ მოვლენის მიზეზათ სთვლის ტყიბულის მუშებში ორგანიზაციის უქონლობას. ამისთვის თათბირი საჭიროთ და აუცილებლათ სთვლის დაუყონებლივ მუშაობის დაწყებას ამ ნაკლის თავიდან ასაცილებლათ. უნდა დაარსდეს პროფესიონალური კავშირი წარმოების მიხედვით, ე. ი. ყველა მუშებისთვის და დაარსდეს კოოპერატიული საზოგადოება, ჩვენში გავრცელებულ როჩდელთა პრინციპებზედ, ხოლო სანამ ეს არ მოწყობილა, მათი ფუნქციები დროებით უნდა აიღოს მუშათა დეპუტატების განახლებულმა საბჭომ, რომელიც ხელმეორეთ უნდა აირჩეს 50 კაცზე თითო რწმუნებულის მიხედვით და მოეწყოს საზოგადოთ ისე, როგორც ეს სხვა ქალაქებშია.

თათბირი სთხოვს ქუთაისის პროფესიონალურ კავშირთა ცენტრალურ საბჭოს გაუწიოს დახმარება ამ საქმეში ტყიბულის მუშებს.

**დადგენილებები ცალკე მოთხოვნილებებზე.**

1) **ტანისამოსის შესახებ:** „ვინაიდან ტანისამოსის შეძენა ჯერ ჯერობით შეუძლებელია, თათბირს არ მიაჩნია შესაძლებლად ფირმას დაევალოს ტანისამოსის უფასო მიწოდება, მაგრამ შეიძლება იშოვოს საცვლები და მისი მოტანის შესახებ დაუყონებლივ უნდა იქნეს მიღებული ზომები.

2) **მატარებლის შესახებ:** მუშებისთვის დანიშნული მატარებელი უნდა გაჩერდეს სადგურებთან და ყველა გასაჩერებელ პუნქტებზე ქუთაისამდე. რაც შეეხება ჩამორჩენილ მუშების სხვა მატარებლით წაყვან-წამოყვანას, თათბირი კატეგორიულად უარჰყოფს.

3) **მარტში და აპრილში გაცდენილი დღეების შესახებ:** აპრილში გაცდენილ დღეების შესახებ თათბირი დასაკმაყოფილებლად სთვლის საბჭოს შუამდგომლობას, რომ მიეცეთ მათ 5,003 მ. 50 კ. მათთვის, ვინც ფაქტიურად ადგილზე იმყოფებოდნენ და იმ ხარჯის დასაფარავად, რაც საბჭოს გაუწევია დელეგატებზე.

4) **საპონის მიღების შესახებ** „თათბირი აუცილებლად სთვლის მუშებს უსათუოდ მიეცეს საპონი თვეში ნახევარი გირვანქა ხელ პირის დასაბანათ უფასოთ, ხოლო ოჯახური საჭიროებისთვის საპონი და სხვა საქონელი შეძლებისდაგვარათ ფირმამ უნდა იქონიოს საწყობებში და გაუნაწილდეს მუშებს საზოგადო წესით.

5) **ტაბელების დასანახ ადგილებზე გამოკიდვის შესახებ.** თათბირს საჭიროდ მიაჩნია ტაბელები გამოკიდებულ იქნას თვალსაჩინო ადგილებზედ, რათა მუშებს მიეცეს საშუალება გამოარკვიონ დღიურების რაოდენობა.

6) **სამუშაო იარაღების შესახებ.** დაევალოს მართველობას, რათა სამუშაო იარაღები დაუყონებლივ იქნას შეძენილი.

7) **სპეციალისტ მუშების პროფესიაზე გადაყვანის შესახებ.** „თათბირი სასურველად სთვლის წარმოებაში ყველა მიღებულ იქნას თავის პროფესიაზე და ამ მიზნით ის სპეციალისტები, რომლებიც დღეს შავ სამუშაოზე იმყოფებიან შეძლების დაგვარად გადაყვანილ იქნან თავთავის სამუშაოზე.

8) **მილიციონერების ჯამაგირის გადიდების შესახებ** მოწესრიგებულ იქნას გუბერნიის კომისართან შეთანხმებით.

**კანტორის მოსამსახურეთა მოთხოვნილებები.**

1) **ასი პროცენტის მომატება.** მოსამსახურეთ ვინც იღებს 480 მ. მეტს, მიემატოს 50 პროც. ყველა დანარჩენებს კი არსებულ ჯამაგირზე 240 მ. თანასწორად.

2) **ექვსი საათის სამუშაო დღის შესახებ.** მიღებულ იქნას თანახმად კანონისა.

3) **წლის განმავლობაში ერთი თვის თავისუფლების შესახებ ჯამაგირის შენახვით.** დაკმაყოფილებულ იქნას თანახმად შრომის სამინისტროს მიერ გამომუშავებულ კანონისა.

4) **სამკითხველოს დაარსების შესახებ.** მიღებულ იქნა თანახმად საერთო კულტურულ დაწესებულებების შესახებ გადაწყვეტილებისა.

5) **ჯამაგირების გასწორების შესახებ.** თანახმად 2 ოქტომბრის გადაწყვეტილებისა.

6) **სალიკვიდაციო ფულების მიღების შესახებ.** დაკმაყოფილებულ იქნას თანახმად არსებული კანონებისა და მომრიგებელ კამერის გადაწყვეტილებისა.

7) **მოსამსახურეთა მიღების და დათხოვნის შესახებ.** მიღებულ იქნა თანახმად კანონისა.

8) **ქუთაისამდე მიმოსვლის შესახებ.** გავრცელდეს მუშებზედ მიღებული გადაწყვეტილება.

9) **ბინის უქონლობის გამო სახყიდლის შესახებ.** ბინის ფული მიეცეს იმ ნორმით, რა ნორმითაც ეძლევათ მუშებს 10 მან. თვიურათ.

**„დესიატნიკების“ თხოვნის შესახებ**

1) „დესიატნიკები“ და თავმდგურები უნდა გათანასწორდნენ ხელფასში, მიუხედავად იმისა დღიურებათ ითვლებიან ისინი თუ თვიურებათ.

კომისიის თავმჯდომარე ვ. ურუშაძე.

ოქმებიდან სწორად არის ამოწერილი კომისიის მდივანი ი. ნარსია.

# ოსეთში

ცხინვალის ამბოხების შემდეგ, უკვე რვა თვე გადის და ამ დროის განმავლობაში ბევრი საყურადღებო ხანა გამოიარა ოსეთმა. ეს იყო ამბოხების პერიოდები: დუშეთი, რაჭა, ლეჩხუმი, საჩხერე, სოხუმი და სამეგრელო, სადაც ბოლშევიკების სახელით მონათლულ ათასმა ჯურის ყაჩაღთა ბრბოებმა ხასტრაცენკალ, ძველი რეჟიმის მოტრფიალე ხალხმა—რევოლიუციონურ რაზმისაგან სასტიკი დამარცხება განიცადეს და სწორეთ ამათ წრეში არა ერთხელ შეხვედრებოდით ოსებსაც, რომლებიც აქტიურ მონაწილეობას იღებდნენ. სწორეთ ამ დამარცხებამ დააფიქრიანა ოსეთის ხალხის მეთაურები და საბუდამოთ დაარწმუნა იმაში, რომ საქართველოს რესპუბლიკის წინააღმდეგ გამოსვლები მათ არაფერს შესძენს. სამი—ოთხი თვეა, რაც საშინელი მდგომარეობაა ჯავა ცხინვალის რაიონში, თვით ურთი-ერთ შორის ოსებში—იმ იარაღის წყალობით, რომელიც მათ ბლომათ დაუგროვებიათ და რომელსაც ეხლა ზიზღით უცქერიან.

სისტემატიურად ყაჩაღობა, ცარცვაგლეჯა ყოველ სოფლებში, განუწყვეტელი სროლა ზოგიერთ ბატონების მხრით ხალხზე მოქმედებს და მათ აწყვდიენებს თავიანთ სვე-ბედს. კერძო ინტერესებით თვითგასამართლებაც ხომ არა ახალია, და სწორეთ ყველა ეს ზემოხსენებული გარემოება უკარნახებს მათ ჩვენ მთავრობის სწორ ხაზს მხარი დაუჭირონ. ამ მხრივ დიდ მუშაობას ეწევა სამხრეთ ოსეთის ეროვნული საბჭოც, რომელსაც შეაქვს შეგნება ხალხში, რომ მათ მხოლოდ მიეცათ ფართო თვითმართველობა, კულტურული განვითარება-აღორძინებისათვის. მთელი სამხრეთ ოსეთი აბმაურდა, ყველამ შეიგნო იარაღის ბოროტება და იმ კომისიებს, რომელსაც აარსებენ საზოგადოებებში თუ სოფლებში ეროვნული საბჭოს წევრები იარაღის ასაყრელათ, ხალხი მხარს უჭერს და აბარებს იარაღს, როგორც ეს უკვე მოხდა ჯავაში ოცი ვინტოვკის ერთ დღეში ჩაბარებით (სამხრეთ ოსეთის ეროვნ. საბჭოს თავმჯდომარე თიბილოვის გადმოცემით). ასე რომ ამ მხრივ თუ მართლადაც ამ გარემოებით ვისარგებლებთ და ხელს შეუწყობთ მათ მუშაობაში, ვგონებ ეს უდიდესი კითხვა არა თუ მარტო გორის მაზრაში, არამედ საერთოდ რესპუბლიკაში გადაწყდეს ისე, როგორც ამას მოითხოვს საერთო ინტერესები. ყაჩაღთა ბრბოს თავგასულობამ იკლო და ეს მიეწერება ჯავის რაიონის კომისარს ცხოვრებოვსა და ცხინვალის რაიონის კომისარს ვ. ბოცვაძის შეთანხმებულ მოქმედებას, რომელთა მჭიდრო კავშირმა მათი რაზმები შეამცირეს უმეტესი ნაწილი გორის ციხეში მოათავსეს. მილიციონერებიც მეტად ენერგიულად ეწევიან მუშაობას ამ მხრივ და ეხლა სწორედ დაცემებს აქა-იქ თუ აქვს ადგილი, მაგრამ ისიც ყაჩაღთა დამარცხებით თავდება. ხალხი დიდ დახმარებას უწევს ადმინისტრაციას ამ მხრივ, ვინაიდან მათივე დახმარებით იჭერენ ყველა მძარცველებს. ყაჩაღობა იმდენა მალე მოისპობა თუ ასე გაგრძელდა შემდეგშიაც. ცხინვალში უკვე ერთი თვე გადის, რაც დგას ხაზურის გვარდია და გერმანელთა ჯარისკაცები და მათმა იქ ყოფნამ ცხინვალის რაიონში მცხოვრებთა საერთო სიმპატია დაიმსახურა. ყველა დაღებით მუშაობას აწარმოებდა ამ ხნის განმავლობაში, დარწმუნებული, რომ არაფერია მოსალოდნელი და იმაშიაც დარწმუნდა, რომ საქართველოს რესპუბლიკას არა თუ ბრძოლა შეუძლია ფრონტებზე თავისი ძალებით მტრების წინააღმდეგ, არამედ ზურგის გამაგრებაც შინაურ მტრებისაგან. ხალხი ძლიერ კმაყოფილია მთავრობის მოქმედებით და ეკვევიან, რომ გვარდიელთა შემადგენლობა, სწორედ იმ ხალხის შვილებია, რომელიც დემოკრატიულ ინტერესებს იცავენ და მზათ არიან სიცოცხლე შესწირონ ხალხის ბედნიერებას. მცხოვრებლებსა და გვარდიის შორის მეტად მჭიდრო კავშირია გაბმული. ჩვენი გვარდიაც ამაყათ იკავებს თავს ამ დღეებში გვარდიელებმა დასდგეს წარმოდგენა და ხალხი მოაწყდა თეატრის შენობას. გვარდიელებიც არ კარგავდნენ მომენტს და რაც შესაძლო იყო ეწეოდნენ პროპაგანდა აგიტაციას ხალხში. მთელ ამ ხნის განმავლობაში აქ მუშაობდა ეროვნულ საბჭოს წევრი მიშა კლიმ აშვილი. (მთ. წარმომადგენელი), რომლის საშუალებით მთელი რაიონი გამოფხიზლების გზას დაადგა. გაიმართა მთელი ცხინვალის რაიონის ყრილობა, რომელზედაც მოხსენება გააკეთეს ამხ. მ. კლიმიაშვილმა, ვ. ცაბაძემ, ი. გაბუნიამ, ს. სოლოლაშვილმა, ქარცივაძემ, გ. შარაშენიძემ და რ. გოგუამ—იმ საჭირ-ბოროტო საკითხებზე, რომელიც ასე მრავლათაა დაგროვებული ირგვლივ და კიდევაც გამოიტანეს შესაფერი რეზოლიუციები. ასე ამ რიგათ, ოსეთის მდგომარეობა საშინლათ გამოიცვალა. ის დამოკიდებულება, თითქოს ოსი და ქართველი ერთმანეთს მტრობდენ, სრულიად არ შეესაბამება სინამდვილეს. ამას გვიჩვენებს პრაქტიკული მაგალითები მათივე ცხოვრებიდან. კავშირი ცხინვალსა და ჯავას შორის უფრო დღითი-დღე ძლიერდება და ამაში დიდ როლს თამაშობს ნავთისა და პურის საკითხი. ოსებს გადმოაქვთ აუარებელი ნავთი და თეთრი ფქვილი ჩრდილოეთ კავკავიდან, რომელიც აუცილებელია ცხინვალისათვის და დიდი გასავალიც აქვს ბაზარზე გირვანქა ნავთი დღეს აქ ღირს 8—10 მან. და თეთრი პურის ფქვილი კი 150—200 მან. ფუთი და ისიც ბლომათაა. ცხინვალში ყველა სახლები ბრწყინავენ სინათლით და საცხოვრო შესახედავია ღამე ამ მხრივ დაბა.

ეხლა გერმანელები იქ არ დგანან, გადმოიბარგნენ ქ. გორში. ერობის არჩევნებიც ცხინვალ ჯავაში ამ კვირას არის მოსალოდნელი და ოსეთის ხალხიც იმდენა დიდ მონაწილეობას მიიღებს ამ დიად საქმის შენებაში.

იარაღის აყრის საქმე თუ მართლა შეასრულა ნაციონალურმა საბჭომ, თამამათ შეიძლება ითქვას, რომ ძლიერ ჩქარა გაჩაღდება კულტურული მუშაობა ამ მხარეში და აჯანყებებს გორის მაზრაში ბოლო მოეღება სამუდამოთ. საყურადღებოა და დასაკმაყოფილებელი ჩვენის აზრით თუ მთავრობამაც დააკმაყოფილა ის მოთხოვნილებები, რომელსაც ამათი ეროვნული საბჭო მოითხოვს.

5 ოქტომბერს მე და მთავრობის წარმომადგენელი მიშა კლიმიაშვილი გვინახულა სამხრეთ ოსეთის ეროვნულ საბჭოს თავმჯდომარემ ა. თიბილოვმა და აგრეთვე თავმჯდ. ამხ. ექ. კარსანოვმა, რომელთაც ჩვენ მიცემულ შეკითხვებზე გვიპასუხა შემდეგნაირათ:

პირველი შეკითხვა: როგორ არის იარაღის აყრის საკითხი და ატარებენ თუ არა ცხოვრებაში იმ დადგენილებას, რომელიც ამ საკითხზე გამოიტანა სამ. ოსეთის ეროვნ. საბჭომ? პასუხი: უმრავლესობა კომისიისა ამორჩეულია და ხალხიც მხარს უჭერს. ჯავაში უკვე ოცი ვინტოვკა ჩამოართვეს ჩვენი იქ ყოფნის დროს. ეხლა მიემგზავრებიან ორთავეს საზოგადოებაში კომისიის აღმოსარჩევათ. იმედია სულ მოკლე ხანში იარაღს აყრიან, მაგრამ საქმე იმაშია, რომ გაიგეს თუ არა იარაღიანმა ხალხმა ჩვენი დადგენილება, მათ უკვე ერთგვარი შიში უგვრძნიათ და როგორც ცნობები მაქვს იარაღი გააქვთ ჩრდილოეთ ოსეთისაკენ, სადაც ისინი იარაღს ცვლიან პურზე და ნავთზე და ასე ამ რიგათ ბუნებრივათ იარაღს ჰყრიან ოსეთის მცხოვრებლები. მართლაც საცოდავია ზოგიერთები, როდესაც ხედავ ტანზე არასფერი აცვია და ორი სამი ვინტოვკა კი შეუძენია, რომ თავი დაიცვას ყაჩაღობიდან და თუ არა ეს გაუძღვია სავაჭრო ნივთად, რომ რამე შეიძინოს ოჯახისთვის. რომ მართლადაც გარწმუნდეს ოსეთი იარაღიდან სრულებით ... შემთხვევაში, როდესაც ... კომისიებს, ... თვის ძალის ყოლა; ას კაცამდე მაინც იყოს ჯავის რაიონის კომისრის განკარგულებაში, ესე იგი დაემატოს 50—70 კაცამდე იმ რიცხვს, რომელიც მას ყავს და დაერქვას ან საგანგებო რაზმი, ან იარაღის ჩამომრთმევი ღაშქარი, გინდ მილიცია—ვინაიდან ხალხი ემორჩილება მთავრობის ძალას და გვარდიისა კი ეშინიათ. ეს მიზეზები თქვენც იცით, რაშიაც „ფრონტოვიკებს“ წილი უძევთ. მცხოვრებლები სურვილს აცხადებენ იარაღის ჩამომრთმევ რაზმში ჩაეწერნენ. მათ მეთაურათ სურთ ყოფნა ზოგიერთ ჩვენ გამოჩენილ აფიცრობას. ხალხის სურვილია იარაღი ჩამოერთვას მათ.

მეორე შეკითხვა: რა მდგომარეობაშია სურსათის მხრით ოსეთის ხალხი და არის გზა თუ არა მის შესაძენათ?

პასუხი: სურსათის მხრით მაინც და მაინც არ არის უნუგეშო მდგომარეობა. მეტი პურის ფქვილი, ნავთი და სხვა სურსათი შემოაქვთ ჩრდილოეთ კავკავიდან თვით ოსებს, მაგრამ გზა მეტად ცუდია და ძვირ ფასებში ყიდიან ყველა ამათ. გვაქვს გზა რომლის ისტორია ცნობილია თქვენთვის, ვინაიდან ამის გარშემო დიდი განგაში იყო ატეხილი, რომ რაღაცა „სტრატეგიული მნიშვნელობა“ აქვს, საფრთხეს წარმოადგენს ამ მხრივ და ათასი სხვა... ჩემი ღრმა რწმენაა, რომ ეს ჭორები მალე გაიფანტება და თუ მოგვეცა საშუალება და მთავრობაც დაგვეხმარა ამ გზით, მაშინ დარწმუნდებით რომ ეს მოკლე გზა ჩრდილოეთ, კავკავსა და ჩვენს შორის და დიდი მნიშვნელობა აქვს ვაჭრობა-მრეწველობისათვის. ეხლა მაგალითად იქ სიმინდი ფასობს ფუთი 15 მ. 6., რომ ეს გზა გვქონდეს ეხლა გაყვანილი და თან ფულებიც, საკმაოთ შეგვეძლო შეგვეძინა დიდძალი სიმინდი, მოგვეთავსებინა საწყობებში და გაზაფხულზედ, როდესაც საერთოდ კრიზისი იწყება სურსათისა ჩვენში, დაგვერიგებინა ხალხისათვის, რომ თავი დაეღწიათ სიმშილისაგან. იმედია ამ გზის გაყვანაში დაგვეხმარებით. ჩვენ ყველაფერი მასალა უკვე გვაქვს შეძენილი ბათუმიდან, მაგრამ ფულები აღარა გვაქვს და ამაშია საქმე. თუ შეიძლება მოილაპარაკეთ ამაზე მთავრობას და მოაქცევინეთ ყურადღება. ამის შემდეგ ამხ. მიშა კლიმიაშვილმა, განმარტა იმ ხმების უსაფუძვლობა, რომელიც ამ გზის გაყვანაზედ იყო აღმოცენებული და საერთოდ იმ დროის პოლიტიკური მდგომარეობა საქართველოს რესპუბლიკისა და აღუთქვა მოლაპარაკება მთავრობასთან.

მესამე შეკითხვა: როგორ უცქერის ხალხი „ბოლშევიზმს“ და ეხლა არიან თუ არა „ბოლშევიკების“ სახით ვინმე პირები ოსეთში. პასუხი: უნდა გამოგიტყდეთ და გითხრათ, რომ ოსეთში არასოდეს „ბოლშევიზმი“ არ ყოფილა და არც იქნება. მხოლოდ ეს იყო „ხულიგანიზმი“ ბრბოების და მძარცველთა ლოზუნგი, ანუ ორიენტაცია რუსეთისადმი იმ მიზეზით, რომ პურის საკითხი აინტერესებდათ, თორემ პური და სხვა საჭირო სანოვაგე, რომ აქედან მიეღოთ, არავითარ გაუგებრობას ადგილი არ ექნებოდა და არც არის ამისთვის ნიადაგი, რომ გაიდგას ფესვი. ზოგიერთებმა კი ისარგებლეს „ბოლშევიზმით“ და მიყვეს ცარცვა-გლეჯას ხელი, რამაც ხალხი დააჯერა მათ ფუქსავატობაში და ზურგი აქცია მათ. ამ გზითაც შემიძლია გითხრათ, რომ გაუგებრობას აღარ ექნება და არც ხალხს სჯერა მათი. მეოთხე შეკითხვა: იქონია თუ არა ალექსეევის „მოხალისეთა რაზმის“ მოქმედებებმა ყუბანის რაიმე გავლენა ოსეთზე? პასუხი: არავითარი გავლენა არ მოუხდენია ალექსეევის „მოხალისეთა ლაშქრის“ მოქმედებას და არც კი იციან მის არსებობაზე, ვინაიდან ის დაშორებულია ჩვენზე და რომ იცოდენ მაინც არ დაუჭერენ მხარს, ვინაიდან მისი შემადგენლობა არ ისახავს თავისუფლების დაცვას მომავალში მიზნათ.—მეხუთე შეკითხვა: როგორ უყურებენ მობილიზაციის საკითხს და რამდენად მართალია ის ხმები რომ, თითქოს ოსეთის ხალხი ემზადება ჩუმ ჩუმათ ცხინვალზე დასაცემათ? პასუხი: რაც შეეხება მობილიზაციას, ყველა თანახმაა გამოვიდეს, მოდიან კიდეც. ეს საერთო კანონია, რომელიც ჩვენზედაც ვრცელდება და ეს არ იწვევს გაუგებრობას. რაც შეეხება იმ ხმებს, თითქოს ჩვენ ვემზადებით ჩუმ-ჩუმათ დასაცემათ—ეს აშკარა პროვოკაციაა და გავრცელებულია იმ პირებისაგან, რომელთაც სურთ ორი მეზობელი ერი ერთმანეთს გადაეკიდონ და ამ დროით მათ კი ისარგებლონ. მე როგორც ერ. საბჭ. თავმჯდომარე გაძლევთ პატიოსან სიტყვას, რომ ვინემ მე პოსტზე ვდგავარ და ვიცნობ ჩვენ ხალხს, შემიძლია თამამათ გითხრათ არავითარ გამოსვლების ადგილი არ ექნება და არც მოსალოდნელია და თუ მოხდა მე უმალ წავალ ამ საბჭოდან და ამაზე წინასწარ შეგატყობინებთ. ვთქვათ მაგალითად,

რომ მე უკიდურესი ნაციონალისტი ვარ, მერე თქვენ როგორ გგონიათ, ჩვენი ნაბიჯები ანუ ჩვენი მოქმედება რომ „ავანტიურა“ იქნება და უბრალო სისხლის ღვრა, ამას არ დაუფიქრდებით. ან რა გვაქვს ისეთი ჩვენ მიზნათ დასახული, რომ ეს ავანტიურა ჩავიდინოთ? არაფერი. მაშ არც ეს ხმებია ყურადსაღები და თუ რამე იქნება მოსალოდნელი მე პირველი ამას შეგატყობინებთ.

ეს პროვოკაციაა და მეტი არაფერი. რაც შეეხება იმას, თუ რა მოახდენს ჩვენზე გავლენას, ამაზე უნდა გითხრათ, რომ ჩვენი ხალხი ჩრდილოეთ კავკავის მდგომარეობით უფრო დაინტერესებულია, ვინემ სხვა კუთხისა, ჩვენს გარშემო. სხვათა შორის უნდა გითხრათ საყურადღებოთ, რომ როდესაც ჩვენმა ხალხმა გაიგო მთავრობის განკარგულება იმ შეთქმულობის მომწყობ თავადებზე, რომლებიც გორის მაზრაში ლალების აკრებას ლამობდა, რომ ამით აჯანყებები გამოეწვია, ძლიერ სახტად დარჩნენ და გაკვირვებული მეკითხებოდნენ თუ რას ნიშნავდა ეს, დარწმუნებული გახულიგანებულ „ფრონტოვიკების“ მიერ იმაში, რომ ჩვენი მთავრობა თავად აზნაურების დამცველია და სხვა. მაგრამ ამ ცნობით ვისარგებლე და აუხსენი ხალხს საქმის ნამდვილი ვითარება, რითაც ძლიერ კმაყოფილი დარჩნენ. ასე რომ ხალხი თანდათან ერკვევა საქმის ნამდვილ ვითარებაში. თუ შეიძლებოდეს აუცილებლად მოელაპარაკეთ ყველა ჩვენ საჭიროებებზე მთავრობას და აგრეთვე რაც უმთავრესია ცალკე ოლქის გამოყოფაზე, რომ მოგვცეს საშუალება კულტურული მუშაობა გავაჩაღოთ. ეს უკანასკნელი თხოვნა რამდენჯერმე გაუმეორა ამხ. მ. კლიმიაშვილს, აგრეთვე გადმოგვცეს, რომ ფიქრობენ გიმნაზიის გახსნას ცხინვალში კულტურულ ძალების მოსამზადებლათ. ასე ამ საუბარით დავშორდით ერთმანეთს. იმედია ის გამოფხიზლება და მჭიდრო კავშირი, რომელიც ისკვნება ცხინვალ-ჯავას შუა, უფრო მჭიდრო იქნება მომავალში. ამის შემდეგ ის გაემგზავრა ორთევში. ასეთია მდგომარეობა ოსეთის მხარეში.

ი. გაბუნია.

# მუშათა შორის

**გორი.** გორში არსებობს რამოდენიმე ფეხსაცმელების საკერავი სახელოსნო. თითო სახელოსნოში ორი-სამი მუშა მაინც მუშაობს, მაგრამ მათი ყოფნა არ ყოფნას უფრო მოგვაგონებს: მათ არ აინტერესებთ არც ჟურნალ-გაზეთების კითხვა, არც კრებებზე სიარული. ერთი სიტყვით მოწყვეტილი არიან ყოველივე კულტურულ მუშაობას. კვირიდან-კვირამდის მუშაობენ თავ-აუღებლივ და ერთი კვირის ნამუშევარი ფული კვირაობით სამიკიტნოებში მიაქვთ. იქ არღნის ტრიალში ატარებენ თავიანთ წუთისოფელს. აქ არიან მეჩექმე საძაგლიშვილები, როგორც ესენი ეპყრობიან თავიანთ მუშებს და შეგირდებს, არა მგონია, სადმე ექცეოდენ ასე. საბჭოს არჩევნების დროს დავდიოდი მეჩექმეების კრების მოსაწვევათ. მათ უნდა აერჩიათ საბჭოში თავიანთი წარმომადგენელი. ამ ვაჟბატონმა მუშებს ნება არ მისცა მონაწილეობა მიეღოთ არჩევნებში და ასე მიპასუხა: „შენ მოცლილი ყოფილხარო, რა კრება, რის არჩევნებიო“. ზემოხსენებული პირი ძლიერ ცუდათ ექცევა თავიანთ შეგირდებს; დღე და ღამ ამუშავებს შეგირდებს, რომლებიც ნახევარზე მშიერები არიან. ბევრი მოთმენის შემდეგ შეგირდებმა განაცხადეს თავიანთი გაჭირვება ხელოსნებში. ეს რომ გაიგო „ხაზეინმა“ ერთი მათგანი დაითხოვა და გამოისტუმრა ქუჩაში.

საჭიროა მუშებმა ყურადღება მიაქციონ თავიანთ მდგომარეობას, იკითხონ ჟურნალ-გაზეთები, იარონ კრებებზე და ლექციებზე, დაეწაფონ თვითგანვითარებას. საჭიროა შეგნებულმა მუშებმა ალაგმონ ასეთი თავ აშვებული „ხაზეინები“.

ტ. ქ.

# ს.-დემ. პარტიაში

**სამტრედია.** 27 სექტ. სხდომაზე ს. დ. კოლექტივმა მოისმინა ქ. გამგეობის წევრის ამხ. დ. მიქელაძის მოხსენება რომელმაც გააცნო სხდომას, რომ აგრარული კანონი არ ვრცელდება ქალაქის ფარგლებში მდებარე მამულზე, რაც იწვევს უკმაყოფილებას. აგრეთვე ის აღნიშნავს, რომ ქალ. სამტრედიას ფარგლებში ბევრი ადგილია, რომელიც არაფრით არ განსხვავდება ნამდვილ სოფლიდან და არიან ჩვენში მსხვილი მემამულეებიც, ამიტომ ქალაქის გამგეობამ აღძრა მთავრობის წინაშე შუამდგომლობა, რათა გავრცელებულ იქნას აღნიშნული დეკრეტი ქალაქის ფარგლებში მდებარე ადგილებზე. ის სთხოვს სხდომას იქონიოს მსჯელობა ამ საკითხზე და მხარი დაუჭიროს გამგეობის სამართლიან მოთხოვნილებას. კოლექტივმა ამ საკითხის შესახებ დაადგინა: „მხარს უჭერთ ქ. გამგეობის შუამდგომლობას, და თავის მხრივ შუამდგომლობას ღძრავს საოლქო კომიტეტის წინაშე რათა მან მხარი დაუჭიროს ქ. სამტრ. გამგეობის მოთხოვნილებას“.

3 ოქტ. შესდგა ქ. სამტრედიის ახალი კოლექტივის კრება; პირველ რიგში სდგას მანდატების დამტკიცება. სანამ მანდატების განხილვას შეუდგე ბოდენ განცხადება შემოაქვთ დეპოს ორგანიზაციის არჩევნების უკანონობის შესახებ, რაზედაც ხელი უწერია 21 წევრს ხსენებულ ორგ. ესენი პროტესტს აცხადებენ უკანონო არჩევნების გამო და მოითხოვენ, რომ ბოლო მოეღოს უთანხმოებას, განაწილებულ იქნას დეპოს ორგ. ორ იაჩეიკათ. ამ კითხვამ გამოიწვია კამათი, სხდომამ დეპოდან არჩეული 4 წარმომადგენელი დაამტკიცა მანდატის მიხედვით, მხოლოდ რაც შეეხება იქაურ უთანხმოებას, საქმის გამოსაძიებლათ დანიშნა კომისია, რომელიც გამოარკვევს ყოველივეს. სხვა ყველა ორგ. მანდატები იქნა დამტკიცებული. სხდომა შეუდგა ბიუროს არჩევას. სხდომას გადამჭრელი ხმით დაესწრო 18 წევრი.

ქალაქის თავი ამხ. ვლ. პაპავა მოხსენებას აკეთებს საბჭოს ს.-დ. ფრაქციის სახელით. ის აღნიშნავს, რომ ქ. გამგეობის განკარგულების ასრულებას მოსამსახურეთა კავშირი ეღობება წინ და განკარგულების წინაალმდეგ კონტრ განკარგულებას სცემს, რაც ქალაქის კეთილდღეობას საგრძნობლად ვნებს. მოჰყავს ზოგი მაგალითები ამის დასამტკიცებლად, ამავე დროს მდივანი უკითხავს სხდომას მოსამსახურეთა კავშირისაგან განცხადებას, სადაც ისინი თხოულობენ კოლექტივისგან საქმეში ჩარევას და გამორკვევას. კოლექტივის სხდომამ დაადგინა: მიეწეროს მოსამსახურეთა კავშირს, რომ იგი გამგეობის განკარგულების სისრულეში მოყვანას არ გადაეღობოს, მხოლოდ თუ გამგეობა რამე უკანონობას სჩადის ან ჩაიდინა, ამაზე კავშირს საშუალება აქვს შემდეგ განკარგულების ასრულებისა მოსთხოვოს გამგეობას პასუხი. საქმის გამორკვევა სხდომამ მიანდო ბიუროს.

ლ. ლევანიძე.

**სოფ. ქვემო-ჭალა** (ქართლი). 13 ოქტომბერს შესდგა რაიონის ს. დ. მ. პ. კრება, წესრიგი იყო: 1. მოხსენება ადგილებიდან და სხვადასხვა კითხვები.

მოხსენებებიდან გამოირკვა, რომ რაიონში პარტიული მუშაობა ჯერ ვერა სდგას სასურველ სიმაღლეზე. გამოირკვა ისიც, რომ ამავე რაიონის ადმინისტრაცია უმოქმედობას იჩენს.

თუ ადგილობრივმა რაიონის ადმინისტრაციამ არ მიიღო საჭირო ზომები და გაგრძელდა დამნაშავეთა დაუსჯელობა, რაიონს უმეტესი განსაცდელი და ზარალი მოელის.

ამისათვის საჭირო არის რაიონის იარაღის ჩამორთმევასაც მიექცეს მეტი ყურადღება და ჩამოერთვათ, რაშიაც პარტიის კომიტეტი და წევრები დახმარებას გაუწევენ ყოველი შესაძლებლობით. რადგან გამორკვეული არის, რომ რაიონის კომისარს ბაგრ. ილურიძეს არა აქვს დავალებების ასრულების უნარი, რაც გამოიხატება: რამდენჯერმე დამნაშავეთა გაშვებაში, არჩევნების ხელის შეშლის ცდაში და უმოქმედობაში, ეთხოვოს უმაღლეს მთავრობას, რომ ის შეცვლილ იქნას რაიონის საერთო კრების დასტურით, რომელზედაც დასწრებული იქნება სამაზრო ადმინისტრატიული დაწესებულების მიერ დანიშნული წარმომადგენელი.

სწავლის დაწყების შესახებ: დახმარება გაუწიოთ მასწავლებლებს ბავშვების შეკრებაში და მათ რეგისტრაციაში ადმინისტრაციის მონაწილეობით და საუბნო კრებების საშუალებით, რომ უკვე მოსულ მოსწავლეებს მიეცეთ სწავლის საჩქაროთ დაწყების საშუალება.

3. არჩეულ იქნა 17 ოქტომბერს სამაზრო პარტიულ ცენტრის კრებაზე დასასწრებად ხაშურში ამხ. ი. ნონიაშვილი.

ალ. ფრუიძე.

# პროვინცია

**ხ. თელოვანი** (ბაკურიანის საზოგადოება). თელოვნიდან სოფლის ამორჩეული დელეგაცია ჩამოვიდა ბორჯომში და განაცხადა სახალხო გვარდიის შტაბში: გვიშველეთ და დაგვიხსენით ამ აწიოკებიდანო.

აღარ მოგვასვენეს გუჯარეთის საზოგადოების ოსებმა, აღარც ხარი შეგვარჩინეს და აღარც ძროხა, ამ უკანასკნელ დროს მოვიდენ ორმოცამდე შეიარაღებული გუჯარეთელები, წაასხეს საქონელი ბოსლებიდან და ეზოებიდან, რადგანაც ჩვენ უძლური ვიყავით ძალადობა გაგვეწია, ამისათვის ხმა ვერ გავეცითო.

საჭიროა მთავრობამ რამე ზომები მიიღოს გუჯარეთელ ოსების წინაალმდეგ, მათ წინაალმდეგ ზომა ერთად ერთია: იარაღი უნდა ავყაროთ. არის გუჯარეთში ისეთი ოსები, რომლებიც აშკარად მოითხოვენ ამასვე, ე. ი., იარაღის აყრას მე შემხვდნენ პირადათ ოსები, რომლებმაც მითხრეს: აი ჩვენ გვაქვს თითოს ორი—სამი თოფი, მოვიდნენ იარაღის ჩამოსართმევათ, პირველათ ჩვენ მივცემთო, რადგანაც ძალიან მოგვბეზრდა ჩვენც თავი ამ ქურდ ყაჩაღებთაგანაო.

ქ. დინჯაძე.

**ს. იანეთი** (გურია). ამ რამოდენიმე ხნის წინეთ ხსენებულ სოფლის უფასო წიგნთსაცავ-სამკითხველოს სასარგებლოდ ადგილობრივ სცენის მოყვარეების მონაწილეობით იქნა წარმოდგენა „ოთხი წურბელა“ გოგიასი. წმინდა შემოსავალი დარჩა სამკითხველოს 360 მან., რაც დანიშნულებისამებრ გადაეცა სამკითხველოს გამგეობას.

ა. გ. ხარიშვილი.

**სად. ჯუმათი.** ამ თვის 8, სადგურზე ბაქოდან მომავალ ოსმალოების ეშელონის დგომის დროს, დიდი უწესოება ჩაიდინეს ოსმალოს სალდათებმა. გაჩერდა თუ არა მატარებელი, იგრიალეს სალდათებმა, მოედვენ ახლობელ სოფელს და დაიწყეს ცარცვა გლეჯა, ვის ცხვარი წაართვეს, ვის ნოხები და ვის კიდევ რა. სადგურზე მეშების მეოთხე კლასის ვაგონი იდგა, საიდანაც მუშის ჩექმები მოიტაცეს, სადგურის უფროსს სკა დაუმტვრიეს და თაფლი გაიტაცეს. სადგურის დარაჯების მიღებულ ზომებით ძარცვა გლეჯა შეწყდა. სადგურის უფროსის და უფროს მილიციონერის თანდასწრებით ეს ამბავი განცხადებულ იქნა ეშელონის უფროსთან შესაფერი ზომების მისაღებად, მაგრამ ამაოდ, ამ განცხადებაზე უფროსს ყურიც არ გაუბერტყია, ერთი თათრულად ჩაიბურტყუნა და ისევ შებრძანდა თავის ვაგონში. ამის შესახებ გაიგზავნა დეპეშა სადაც ჯერ იყო და ოქმიც შესდგა. აუცილებელი საჭიროა ეხლავე მიექცეს ჯეროვანი ყურადღება თათრების სალდათების ამ გვარ მოვლენას და ყოველივე დანაკლისი და აოხრებული, ანაზღაურებულ იქნას მათგანვე, რადგან ზემოხსენებული შემთხვევები ამ ბოლო ხანს გახშირდა.

ხად. აგ. გ. ბ—ლი.

**ხოფ. სვერი.** ერთი წელია რაც აქ დაარსდა მომხმარებელი საზ. „ახალი დროე“. პირველ ხანებში მომხ. საზ. დიდ უნარს იჩენდა საქმის მოგვარებაში. კვირაში ორჯელ და ხშირად სამჯერაც ახდენდენდენ გამგეობის კრებებს, სადაც არკვევდენ წესდების მუხლებს, იმუშავებდენ გეგმებს, თუ როგორ ნიადაგზე უნდა ეარსებებია მომხ. საზ. და სხვ. ბოლოს კი გამგეობამ ნელ ნელა მხარი აუხვია დუქანს, რის წყალობითაც ბევრი რამ ყველასაგან დასაგმობი და ცუდი ამბები მოხდა საზოგადო სავაჭროში. მაგ. ხუთი კვირის განმავლობაში მივიღეთ 25 ფუთი შაქარი ქუთაისის კავშირისაგან და ეს შაქარი სადღაც გაჰქრა. მე დარწმუნებული ვარ იმაში, რომ ის წევრებს არ წაუღია, არამედ სადღაც არის მიმალული. სად არის, ამას გამგეობა არ დაგიდევს. ასევე მოხდა სოდაზე, რომელიც ჩვენში გირ. 5 მან. იყო და რომელიც დღეს სანთლით საძებრად გვიხდება და სხვა საჭირო საგნებზე.

საჭიროა გამგეობა ენერგიულად მოეკიდოს საქმეს.

ობოლი ნაკვერჩხალი.

# წერილები რედ. მიმართ

მოქ რედაქტორო, გთხოვთ ადგილი დაუთმოთ ჩემს მცირე წერილს თქვენ პატივცემულ გაზეთ „ერთობა“-ში

1918 წ. მარტის პირველ რიცხვებში დ. ქობულეთში პორ. ნებიერიძის ხელმძღვანელობით შესდგა წითელი რაზმი ადგილობრივ ქართველებისაგან და ბერძნებისაგან, რიცხვით 250 კაცამდე. თუმც ბევრი არ დასცლია რაზმს ეარსება, რადგანაც აპრილის პირველ რიცხვებში ბათუმის ოლქში შემოიჭრა ოსმალთა ჯარი, მაგრამ დღიდან შისი არსებობისა რაზმი გონივრულათ მოქმედებდა. მან დაიკავა სოფ. კვირიკის მთებზე პოზიცია, თავს იდვა სადგურიდან ვიდრე სოფ. ფიჭვნარამდის აგარაკების დაცვა, რომლებსაც სძარცვავდენ ადგილობრივი ქურდ ბაცაცები, რადგანაც ჩვენს რაზმს არავითარი ჯამაგირი და ხარჯი არ ეძლეოდა არავისგან, მან დაადგინა მოეკრიბა ქართველებისაგან და ბერძნებისაგან, რომლებიც არ ირიცხებოდენ რაზმში, შეძლებისდაგვარათ ფული რაზმის შტაბის სხვადასხვა ხარჯების დასაკმაყოფილებლათ, რაიც იქნა სისრულეში მოყვანილი. სულ ფული შეგროვდა 1350 მანეთამდე, რომელიც ებარა მოქ. იასონ ხუხუნაიშვილს, როგორც მოლარეს. ბათუმის დაცემის შემდეგ რაზმი სხვადასხვა მიზეზების გამო დაიშალა და ეს ფულები დარჩა მოქ. ხუხუნაიშვილთან. მე, როგორც ერთი წევრი რაზმისა და მომკრეფი ფულისა, სხვა ამხანაგებთან ერთათ (პ. ჭელიძესთან, ილ. ბოლქვაძესთან და დომენტი ხუხუნაიშვილთან) ვეკითხები მოქ. იასონს რა იქნა ეს ფულები? ვთხოვ მას გაზეთის საშუალებით გვაუწყოს თუ რა ბედი ეწია იმ ფულებს.

კანდიდო წულაძე.

**თავრიზელ ამხანაგების საყურადღებოთ.**

თავრიზის გარნიზონის ქართველ მხედართა კულტურულ - განმანათლებელი წრის ხელმძღვანელების საყურადღებოთ ვაცხადებ, რომ იმ ფულებიდან რომელიც ლიკვიდაციის დროს წრეს აღმოაჩნდა, თანახმად საზოგადო კრების გადაწყვეტილებისა, ჯერ კიდევ ამა წლის თებერვლის თვეში გადაეცა შემდეგ დაწესებულებებს: ქართულ თეატრს, ქ. მხ. მთავარ კომიტეტს და „ერთობის“ რედაქციას 639 მ.—63 კ. თითოულ დაწესებულებებს, (იხ. „ერთობა“, თებერვლის № 43). მეოთხე ნაწილი უნდა გადასცემოდა ქუთაისის კავშირს, მაგრამ ეს კავშირი დაირღვა და ამიტომ უფრო მიზანშეწონილათ ვნახე ამ ფულის ქ. უნივერსიტეტისთვის გადაცემა. ჩემი შეხედულება გაზეთის საშუალებითაც და პირადი ნახვითაც გავაგებინე პრეზიდიუმის წევრებს, რომელნიც დამეთანხმენ. ფულის გადაცემა დაგვიანდა მიტომ, რომ ყველა წევრები დროზე ვერ ვნახე და, ამას გარდა, ვინაიდან თავად ფრონტებზე ვიყავი არ მომეცა საშუალება თფილისში ამოვსულიყავ. ეხლა ყველა ეს დაბრკოლებები აღარ არის და ფული ექვსასი მანეთი (600 მ.) უკვე გადავეცი ქართულ უნივერსიტეტის ფონდის გასაძლიერებლათ ბ-ნ ყიფშიძეს. საზოგადოთ, სრული ანგარიში ამ ფულების შესახებ შეიძლება ნ. ხოთ „ერთობის“ № 43.

თავრიზის გარნ. ქართ. მხედართა კულტ. გან. წრის თავმჯდომარე რაფიელ ჩხაიძე.

# განცხადებანი

ექიმი
**იოსებ რაჟდენის ძე ცინცაძე**
ლებულობს შინაგან და ვენერიულ ავათმყოფთ საღამოს 5—7 ს. მიხეილის პრ. № 121, ბინა 4. ტელეფონი 11—06.

ექიმი
**გ. გოლდშტეინი**
ყოფილი ასისენტი ბარონ როტშილდის მთავარი თვალის გოსპიტლისა და ჟენევის უნივერსიტეტის კლინიკისა. თვალის ავადმყოფობანი. ამორჩევა სათვალეებისა. მიღება დილის 8—11 ს. და საღამ. 5—8 ს. ნიკოლოზის ქ. № 32.

ექიმი
**დიმიტრი იოსების ძე ჟორდანია**
დაბრუნდა და განაახლა ავადმყოფების მიღება შინაგანი, ხრონიკული მალარია, სისხლნაკლებობა, ვენერიული, ხრონიკული ტრიპერი, საშარდე მილის სივიწროვე, სიფილისი და მის შედეგები, 606—914 შეშხაპუნება. მიღება საღ. 5—7 ს. მისამართი: გორის ქ. (დიდუბე) № 6. ტელეფ. 1—04.

**გაიხსნა თვალის საავადმყოფო**
(მუდმივი საწოლებით)
**ექიმი დონხინისა**
ყოფილი ასისტენტი უნივერსიტ. თვალ. კლინიკისა ვენაში და პარიზში. ავათმყოფების მიღება ყოველ დღე 9 საათიდან 1 საათამდე და 4—7 ნახევარ საათამდე. მიხეილის პროსპექტი № 141 (კინემატოგრაფ „აპოლოს“ ახლო) მძიმე ავათმყოფები და საოპერაციები მიიღებიან სრულ პანსიონში. ტელეფ. 5—96.

**ექიმი ნიკოლოზ ი. მახვილაძე**
იღებს სპეციალურად—მალარიით (ციება) და მისი შედეგებით დასნეულებულთ, სისხლის ნაკლებობით, გულისა, ფილტვისა, ქარებით და სხვა შინაგან სნეულებით ავათმყოფთ ყოველ დღე საღამოთი 5—7 საათამდე. ელექტრიზაცია. მისამართი: მოსკოვის ქ. № 11, ზემელის აფთიაქის პირდაპირ.

**ექიმი მ. ა. შაფრანი.**
სპეციალურად სიფილისი და მისი შედეგები (შეშხაპუნება 606 და 914), ვენერიული (ტრიპერი) და საშარდე ორგანოების სნეულებანი. ავათმყოფების მიღება ყოველდღე დილის 8—11 და საღამოს 5—8 საათამდე ქალების საღამოს 4—5 საათამდე. კვირაობით მხოლოდ დილით. მისამ: ოლღას ქ. № 33.

ექიმი
**ლ. ა. სარალიძე**
იღებს ყოველდღე შინაგან და ბავშვთა სნეულებიან ავადმყოფთ, საღამოს 6—8 საათამდე. კვირაობით დილის 9—12 ს. ჩერქეზიშვილის ქუჩა № 87. ავჭალის აუდიტორიის ახლო.

**ექიმი ბ. მ. მუხაძე**
იღებს სადოსტაქრო ავათმყოფთ საღამოს 5—6 საათამდე კვირა დღის გარდა, მისამართი: დიდი მთავრის ქ. № 57; აფთიაქის ეკონომიურ საზ. შენობის პირდაპირ, სახ. სვანიშვილისა. ტელ. № 5—77

ქ. ხ ო ნ ი.
**ექიმი სპირიდონ დიმ. ჯალაღანია.**
იღებს ავათმყოფთ დილის 9—12 ს. მდე. მისამართი: მათხოჯის ქ. საკუთ. სახლი.

**ექიმი დ. ი. ჯაფარიძე**
მიიღებს შინაგანის, ყურის, ყელის და ცხვირის სნეულებით ავადმყოფებს დილის 11—1 საათამდე, საღამოს 5—8 ს. მღვდათოვის ქუჩა № 7. ალექსანდრეს ბაღის პირდაპირ. ტელეფონი 16—65

**ექიმი მ. ფ. მგალობლიშვილი**
იღებს ქალების და ქირურგიულ სნეულებით ავათმყოფთ დილის 9—11 და საღამოს 5—7 საათ. მისამართი: ოლღას ქუჩა, 41. ტელ. № 9-53.

ე ქ ი მ ი
**ვლადიმერ მიხეილის ძე მახვილაძე**
ლებულობს შინაგან სნეულებიან ავათმყოფთ დილის 11—12 საათ. და საღ. 6—7 საათ. მისამართი: უდელნი ქ. № 14.

ექიმი **დ. ჯავახიშვილი**
მიიღებს ბავშვთა და შინაგან სნეულებიან ავათმყოფთ ყოველ დღე კვირის გარდა, დილის 9—11 და საღამ. 5—7 ს ბინა: ვერა, გუნიბის ქუჩა, № 41. ტელეფონი № 14—09.

სამკურნალო კაბინეთი
**ექიმ ალექსანდრე დავითის ძის**
**პეპელიასი**
იღებს კანისა, ვენერიულის და სიფილისით ავათმყოფებს (914—606 ის შეშხაპუნება). ავათმყოფთა მიღება დილის 9 საათ. 11 საათამდე და საღამოს 5 საათიდან 7 საათამდე. მიხეილის პროსპექტი, № 116, სასტუმრო „ნოე“-ს პირდაპირ. ტელეფონი 14—28.

**მს. ქალთ რ. ბ. შიშლო-საბაშვილი**
მედიცინის დოქტორი ჟენევის უნივერსიტეტისა და ედინბურგის მედიკურ-ქირურგიულ კოლლეჯისა. იღებს ყოველდღე შინაგან, ქალურ და ვენერიულ ავადმყოფთ და იძლევა ხაზებით დარიგებას. სიფილისის წამლობა ახალი მეთოდებით. დილის 10—12 ს. და საღამოს 6—7 ნახ. საათამდე. სერგიევის ქუჩა (სოლოლაკი) სახლი № 9. ტელ. 9—26

**ექიმი ნ. დ. ტურიაშვილი**
(მედიცინის დოქტორი მიუნხენის უნივერსიტეტისა) ღებულობს ავადმყოფებს ყოველ დღე შუადღის 12—2 და საღამოს 4—5 საათ. შინაგან საბავშვო, საბებიო და საშვილოსნოს სნეულებანი. ნიკოლოზის ქუჩა, № 7, სიმხოვიჩის აფთიაქის გვერდით.

**ექ. დიასამიძემ** განაახლა სახლში ავათმყოფების მიღება 1—2 ს. ნაშ. და 5—6 საღ. ოლღას ქუჩა, სახ. № 15. ტელ. 18—03.

ე ქ ი მ ი
**ა. ნ. შატილოვი**
იღებს თვალის სნეულებიან ავადმყოფთ საღამოს 4—6 საათ. სიმონოვის ქუჩა, სახ. № 4 (თვალის სენის ბინა)

**კბილის საექიმო კაბინეთები**
**თედორე საყვარელის ძე ცხომელიძისა**
ავადმყოფები მიიღება ყოველდღე დილის 9—2 საათამდე და საღამოს 5—6 საათამდე, გარდა კვირა დღეებისა. მისამართი: კალოუბნის ქუჩა (ყოფილი ბარონის), სახელმწიფო ბანკის პირდაპირ, ტელეფონი 13—35.

**მიხეილის ქერძო სამკურნალო**
მუდმივ საწოლებით. მიხეილის პრ. № 167, ტელ. 11—35. ავათმყოფების მიღება ყოველდღე დილ. 9—2 საათ. და საღამოს 5—7 საათამდე.

ექ. ა. ნ. შატილოვი თვალ. სნეულ. დილ. 9—10 ს., ა. დ. წულუკიძე ქირურგ. და შინაგ. 9—10 ნახ. ს., ი. ნ. ტერ-აკოფოვი ქალ. და საბებიო 10—11 ს., მ. ფ. მგალობელი ქირ. და ქალურ 11—12 ს., მ. ი. ვაჩნაძე შინაგ. და საბავშვო 11—12 ს., ნ. ა. გამრეკელი შინაგ და ნერვ. დილის 12—1 ს., ა. პ. წულუკიძე ქირ. და შინაგ. საღ. 5—6 ს., ქ. ვ. ტყეშელაშვილი ტყავისა და ვენერ. 6—7 ს.

მასაჟი, ელექტრიზაცია, კანის ქვეშ შეშხაპუნება. 606 და 914 შეშხაპუნება. საავათმყოფოსთან არსებობს სამშობიარო განყოფილება ექ. მ. მგალობელისა და ი. ნ. ტერ აკოფოვის ზედამხედველობით.

**რენგტენისა და ელექტრონის სხივებით სამკურნალო კაბინეტი.**
წითელი ჯვრის საზოგადოების და მიხეილის საავადმყოფოს რენგტენის კაბინეტის ყოფილი გამგე
**დოქტორ ა ზ. ლევინშტეინისა.**
ავათმყოფები მიიღება შინაგან, ნერვებისა და ქალის ავადმყოფობა რენგტენოფოტოგრაფია და ფიზიკური მეთოდი ექიმობისა წინასწარ ჩაწერით (დაჭრილები რიგ გარეშე). სპეციალური რენგტენო-დიაგნოსტიკა და ფიზიოტერაპია გულისა, ფილტვებისა, კუჭისა და ჭლექის ავადმყოფობისა. მიღება 4—8 საათამდე გარდა კვირა დღეებისა. კრილოვის ქუჩა, სახლი № 5, ბინა № 3, ტელეფონი № 12—46.

**მედიცინის დოქტორი**
**ბერლინის უნივერსიტეტისა**
**გ. გ. მეგრაბიანცი**
**ჩამოვიდა და განაახლა ავადმყოფების მიღება.**
შინაგანი ავადმყოფობა, ჭლექისა და გულისა. იღებს ახალ რენტგენის—ელექტრო წამლობის კაბინეტში; გასინჯვა და წამლობა X-ს სხივებით დიდი სალენოიდი და არსევალის ტოკით ფილტვების, გულის და სხვა შინაგანი ავადმყოფობისათვის. ყოველ დღე დილის 9—1 საათამდე და საღამოს 6—8 საათ. ბებუთოვის ქ. № 23, ტელეფონი 7—92.

ქ. ი. ზუბალაშვილის სახელობის ქალაქის სახალხო სახლ. არს. ქართ. წარ. მმარ. წრე.
# სახალხო სახლი.
კვირას, 20 ოქტომბერს, 1918 წელს წარმოდგენილი იქნება
# ნამუსისათვის
დრამა 4 მოქმედებად შირვანზადესი, თარგ ე. კ—ნის მიერ.
**მონაწილეობას იღებენ:** ქ-ნნი: ანკარა, გოგოლაშვილი, რომანიშვილი-დგებუაძისა, ჭიაურელი; ბბ. გოცირიძე, გონაძე, ბაქრაძე, მინდიაშვილი, მეტრეველი, თავდგირიძე, ივერელი.
დასაწყისი საღ. 8 საათზე. ადგილების ფასი 3 მ.—50 კ. მდე.
რეჟისორი ნ. გოცირიძე.
(2—1) რეჟ. თანაშემწე ალ. ბადრიძე.

# სახელმწიფო თეატრი.
ოპერის სეზონი 1918—19 წ. დირექცია ლევიცკისა.
**შაბათს, 19 ოქტომბერს**
# ჟიდოვკა
ოპერა 4 მოქმედებათ, მუსიკა ჰალევისა.
**მონაწილეობენ:** ქ. ქ. შვამბერგი, ზელინსკისა, კანშინი, ბ-ნი მოლჩანოვი, საბინინი, დემიანენკო, ეზროვი.
დირიჟორი სტოლერმანი. დასაწყისი სრულ 8 საათზე.
კასა ღიაა დილის 10—2 ს. და საღამოს 6 საათ. წარმოდგენის გათავებამდე.

კვირას, 20 ოქტომბერს დილის 11 საათზე წრის ბინაზე (მიხეილის ქ. № 102) სახალხო სახლთან არსებულ ქართულ წარმოდგენების მმართველ წრის გამგეობის მიერ დანიშნულია გაგრძელება
# საზოგადო კრებისა.
კრებაზე განსახილველია გასულ სეზონის ანგარიშები, ხარჯთ-აღრიცხვა და გამგეობის არჩევნები. ვინაიდან საჭირო კითხვებია გასარჩევი ამიტომ ვთხოვთ ყველა წრის წევრებს უსათუოდ დაესწრონ კრებას.

კვირას, 20 ოქტომბერს დილის 11 საათზე სახელოსნო კლუბის საზაფხულო შენობაში (მიხეილის ქ.) დანიშნულია ღვინით მოვაჭრეთა კავშირის წევრთა
# საზოგადო კრება.
განსახილველია მიმდინარე კითხვები. გამგეობა სთხოვს კავშირის წევრებს უსათუოდ დაესწრონ კრებას.

საქართველოს რესპუბლიკის სახელმწიფო თეატრთან არსებული
# ქართ. დრამატ. ხელოვნების სტუდია
სტუდიაში ასწავლიან ყველა საგნებს დრამატიულ ხელოვნებასთან დაკავშირებულს და აგრეთვე რითმიულ გიმნასტიკას (ჟაკ დალკროზის სისტემით. მატინიონ ზალცმანის ხელმძღვანელობით). მიიღებიან ქალ ვაჟნი 15 წლიდან 30 წლამდე. მსურველთ განცხადება უნდა შემოიტანონ სახელმწიფო თეატრში ყოველ დღე 11—2 ს. მიმდინარე თვის 25 რიცხვამდე.
(6—4) სახელმწ. თეატ. კომისარი ალ. წუწუნავა.

# საჭიროა გამოცდილი საბეჭდავ მანქანაზე მომუშავე
კარგი მცოდნე ქართული და რუსული ენების.
მისამართი: ელისაბედის ქუჩა, სახლი № 200, რკინის გზის პროფესიონალური კავშირის ცენტრალური გამგეობა. (3—2)